პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 27 აგვისტო № 201 (16631) ფასი 2 კაპ. 1976

პირველადი პარტიული ორგანიზაცია

ძვირფასო რედაქციავ, კარგად გვესმის, რომ პარტიის დიადი მიზნების, მეათე ხუთწლედის დავალებათა განხორციელების ბედი უშუალოდ შრომითს კოლექტივებში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში უნდა გადაწყდეს. ეს კი თვითეულ ჩვენგანს, ყოველ კომუნისტს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს...

ასეთი სიტყვებით იწყება ან მთავრდება მრავალი წერილი, რომელსაც ამ დღეებში „კომუნისტის“ რედაქცია რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციებიდან იღებს.

დიახ, სწორედ პირველადი ორგანიზაცია — პარტიის ეს ძირითადი რგოლი — მუდამ მასების შუაგულში მოქმედებს, ყველაზე ახლოს არის ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, ნშიტომ, ბუნებრივია, თუ რაოდენ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს კომუნისტთა თვითეული ძირეული კოლექტივის ბრძოლისუნარიანობის. ამაღლებას, ყოველი მათგანის საქმიანობის გაქტიურებას.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად 10.954 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. ისინი უდიდეს გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროზე. ეს გავლენა, მათი, როგორც მებრძოლი ორგანოზატორების, როლი განსაკუთრებით თვალნათლივ და მკაფიოდ გამოჩნდა უკანასკნელ წლებში, როცა კარგად აუწყეს მათ ფეხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაბედულ, გამჭანსაღებელ ღონისძიებებს, როცა ერთიანად დარაზმეს კომუნისტთა ძალები პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განსამტკიცებლად, სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის პერიოდში ჩვენი დიდად დაზარალებული, დიდად ჩამორჩენილი ეკონომიკის გასაძლიერებლად.

ეს მეტად რთული ამოცანაა, მეტად ძნელი გზაა. მაგრამ, როგორც საქართველოს კომპარტიის უკანასკნელი წლების საქმიანობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებაშია აღნიშნული: „მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიულ ორგანიზაციათა აქტორიტეტი, გაძლიერდა მათი წარმმართველი და მაორგანიზებელი გავლენა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგში“.

ჭეშმარიტად, ბევრისმეტყველი შეფასებაა. როგორ არ შეგვს ეს იმ აღრინდელ შეფასებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტი ამ ოთხი წლის წინათ თავისი დადგენილებით თბილისის პარტიულ ორგანიზაციას რომ აძლევდა. თბილისის პარტიული ორგანიზაციის სახე კი, ფაქტიურად, მთელი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სახე იყო. ფორმალიზმი, შაბლონი, ბიუროკრატიზმი, არაკომპეტენტურობა, უინიციატივობა და პასიურობა, ნაჩარეგი, მოუფიქრებელი ღონისძიებების მიღება და შესრულების სუსტი კონტროლი, გულგრილი დამოკიდებულება სხვადასხვა დამახინჯებებისა და ნაკლოვანებების მიმართ — აი ამ დროსათვის ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის დამახასიათებელი ნიშნები.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ, ზოგიერთი საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის თაობაზე მიღებულმა პრინციპულმა დადგენილებებმა, რომლებშიც ღრმად და მეცნიერულად არის განხილული და გაანალიზებული პარტიულ-ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის აქტუალური საკითხები, დიდნიშვნელოვანი როლი შეასრულა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. ისინი სულ უფრო ამკვიდრებენ მუშაობის ლენინურ სტილს, მეცნიერულ საფუძვლებზე გეგმავენ ღონისძიებებს, აუმჯობესებენ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებისა და კონტროლის ორგანიზაციას.

ახლა რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი პირველადი პარტიული ორგანიზაციაც, რომელიც შრომითი კოლექტივების ავანგარდში დგას, დასახული ამოცანების გადაწყვეტისადმი სწორ, ნამდვილად შემოქმედებითი მიდგომის ნიმუშებს გვიჩვენებს, სასარგებლო სიახლის, ინიციატივის მოთავე და ორგანიზატორია.

მთელს რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოშუნისტთა თაოსნობა — „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია!“, „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი — ჩვენს გვერდით“.

ინიციატივიანად, საზრიანად, შინაარსიანად მუშაობენ ქუთაისის საავტომობილო, თბილისის საავიაციო ქარხნების, ახალქალაქის რაიონის ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობის და ბევრი სხვა პარტიული ორგანიზაციები.

მაგრამ მთელი ჩვენი მუშაობის დაკვირვებული ანალიზი, სერიოზულ დამახინჯებათა და ნაკლოვანებათა ბევრი ფაქტი, რომლებიც ჯერ კიდევ რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა უბანზე გვხვდება, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი იჩენს, ამყოვანებს კოლექტივის ნამდვილი მეთაურის, საქმის კარგი ორგანიზატორის უნარს. პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, ზოგან ჯერ კიდევ ვერ დაძლეულ ინერციად ძალა, ვერ უღალატეს გულგრილობისა და მაშვებულობის „ტრადიციას“, ხოლო პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, რომლებიც სწორად, შემოქმედებითად უნდა წარმართავდნენ მათ საქმიანობას, ზორიდან მეთვალყურის პოზიციას ირჩევენ.

მუშაობის გამოცოცხლება სრულიადაც არ იგრძნობა ოჩამჩირის რაიონის ლაბრის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც მეტწილად უფერულად, უინტერესოდ ეწყობა კრებები. აქ თითქმის არ ისმენენ კომუნისტთა ანგარიშებს, ყურადღებას ვერ აქცევენ მთავარ საკითხებს — სოციალისტური შეჯიბრების კომისიის მუშაობას, მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას.

საწარმოო გეგმების შესრულებასთან ერთად სოციალისტური საკუთრების დაცვა, საქმისადმი ყაირათიანი მიდგომა კომუნისტების უპირველესი მოვალეობაა. მაგრამ ეს დავიწყეს თბილისის 26 კომისრის რაიონის საკონსერვო კომბინატში და შალსაქსოფ ფაბრიკაში, სადაც სწორედ სოციალისტური საკუთრების მითვისების ფაქტები გამოვლინდა. ამ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ცუდად ხელმძღვანელობენ მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ პარტიის ყოველი ძირითადი რგოლის აწყობილი, მოზნეშმიართული, შინაარსიანი საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული მის არჩევით კოლექტიურ ორგანოზე, მის მდივანზე. წავიდა ის დრო, როცა სამეურნეო ხელმძღვანელები ცდილობდნენ და აღწევდნენ კიდეც, რომ პარტიულ ორგანიზაციათა სათავეში ყოფილიყვნენ ე. წ. „მორჩილი მდივნები“, რომელნიც მათ მითითებებს, მათს სურვილებს უყოყმანოდ დაუჭერდნენ მხარს. უკანასკნელ წლებში გამართულმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა დიდი და საჭირო ყურადღება მიაქციეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელოსანი პრინციპულ, ინიციატივიან, ენერგიულ კომუნისტთა არჩევას. თუმცა ყველგან ასე როდია. წითელწყაროს რაიონის ოზაანის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია წლების მანძილზე სუსტად მუშაობდა და ახლაც ერთ ადგილს ტკეპნის, ხოლო მისი ბიუროს ახალი მდივანი გ. სუხიტაშვილი ცდილობს ისე მოიქცეს, რომ არავის აწყენინოს, კოლმეურნეობა კი კვლავ ჩამორჩება, სუსტია შრომის ორგანიზაცია, ძვირია სასოფლო სამეურნეო პროდუქტები.

ამ და სხვა მრავალი ფაქტიდან პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა სერიოზული დასკვნები უნდა გააკეთონ... მათ განუწყვეტლივ უნდა ეუმჯობესონ, სრულყონ ორგანოს პირველადს პარტორგანიზაციებზე ინსტრუქტაჟისა და კონკრეტული დახმარების ფორმები და მეთოდები, ასევე ფართოდ გაავრცელონ მოწინავე პარტორგანიზაციათა დადებითი გამოცდილება. დღეს გადაუდებელად საჭიროა პარტიულ კომიტეტებსა და პირველადს პარტორგანიზაციებს შორის ურთიერთ ინფორმაციის გაძლიერება.

მალე დაიწყება პარტორგანიზაციათა საანგარიშო-საარჩევნო კრებებიც. ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას, ყველგან ისე მოვაწყოთ ანგარიშები და არჩევნები, რომ მან კიდევ უფრო ამაღლოს მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე, ნამდვილად შეესაბამებოდეს იგი პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების მოთხოვნებს.

ეკონომიკა-საბჭისა, ეფექტიანობის-ხუთწლედი

ნდობის პას უხად



მილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკა რესპუბლიკის მოწინავე საწარმოა. აქ ბევრი მაღალკვალიფიციური ოსტატი მუშაობს. მათს რიცხვს მიეკუთვნება ოლგა ჭინჭარაძეც. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან ცხრა წლის წინათ დაიწყო აქ შრომითი საქმიანობა და ბევრს მიაღწია ამ წლებში.

ახლა მისი გამომუშავების ჩვეულებრივი ნორმა 160-170 პროცენტია. ფაბრიკის ერთ-ერთი საუკეთესო გამომჭრელი ამას წინათ სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს. დიდი ნდობის პასუხად იგი კიდევ უფრო მაღალნაყოფიერად შრომობს. თ. ჭინჭარაძე მნიშვნელოვნად უსწრებს გრაფიკს და 1978 წლის თებერვლის ანგარიშში შრომობს.

ოსტატმა ვალდებულება იკისრა პირადი ტუთწლედი ოთხ წელიწადსა და ორ თვეში შესრულოს.

სურათზე: თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მოწინავე გამომჭრელი, სკკპ წევრობის კანდიდატი ოლგა ჭინჭარაძე.

ვ. ბორბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სექტემბრის ანგარიშში

ქუთაისი. რეა თვის დავალება შეასრულეს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. 24 აგვისტოსათვის განაღდებულია როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე რეალიზაციის 8 თვის სახელმწიფო გეგმები და კოლექტივები პროდუქციას სექტემბრის ანგარიშში უშვებენ.

მარტო 7 თვეში ქალაქის მრეწველობამ წლიური ვალდებულების ანგარიშში, რომელიც 15 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს, 11 მილიონი მანეთის ნაწარმი დაამზადა, რაც წლიური ვალდებულების 72 პროცენტია.

ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში დაწინაურდნენ ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო, ლითოფონის ქარხნების, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების და სამკერვალო გაერთიანება „გელათის“, მაუდის ფაბრიკის, პურპროდუქტების კომბინატის და სხვათა კოლექტივები.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გეგმის გადამეტებით

სოხუმი. რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ მოწოდებას საქმით უპასუხებს ქარხანა „სოხუმელსაწყობ“ (დირექტორი ა. მიქაძე) კოლექტივი. ივლისი და აგვისტო აქ დამკვრელურ თვეებად იყო გამოცხადებული. საბრძოლო და ბრიგადებს შორის ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. შვიდი თვის დავალება აქ 101,8 პროცენტით განაღდეს. ნაცვლად 2.502 ათასი მანეთისა წარმოებულია 2.548 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქარხანაში განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად შრომობენ მუშები ვ. ცაბაძე, ტ. გუშკოვა, რ. კლიჯანი და სხვები.

ი. ბოგვჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ორი დღე დედამიწაზე

„კმთილი იყოს მშობიერ დედამიწაზე დაბრუნებ!“, „ასეთი პლაკატი გამოჩნდა სასტუმრო „კოსმონავტის“ ფასადზე. ჩვენს მთავარ კოსმოსურ „ნავსაყუდელში“ — ბაიკონურში დირსსსოვარი მოვლენა მოხდა. უკვე მეორე დღეა მშობლიურ მიწაზე დადიან კოსმონავტები ბორის ვოლინოვი და ვიტალი ჟოლობოვი.

ჩვენ ზუსტად შვიდი კვირაა ერთმანეთი არ გვინახავს. ჩვენი კოსმოსის დამლაშრავი გმირები, რა თქმა უნდა, შეიცვალნენ. გახდნენ, ამოღამებულ თვალებში კიდევ იტყობათ დედამიწაზე დაშვების ამაღელვებელი წუთების ჭნება. ერთად გამოვიდნენ პირველად საყირნოდ. ისე ფრთხილად მოდიან, გეგონება ჭიანჭველას არ უნდათ დაბიჯონ ფეხი. ამ სიარულში იგრძნობა დედამიწის გრავიტაციის პირობებში ორგანიზმის „დაბრუნების“ ნორმალური რეაქცია. შემთხვევითი როდი იყო, რომ მედიკოსები კოსმონავტებს დაეინებით ურჩევდნენ პირველი დღეებში „ნუ აჩქარდებითო“.

თუმცა, საჩქარო ჯერ არც არაფერი აქვთ. უკან არის დედამიწის ატმოსფერო, ეკიპაჟის ფრენის შემდგომი გამოკვლევა, შეამოწმონ თავიანთი პროგნოზები, გაარჩიონ ექსპედიციის სამედიცინო პროგრამა. მთავარი კი ის არის, რომ დაეხმარონ კოსმონავტებს, რათა რაც შეიძლება მალე „დაბრუნდნენ დედამიწაზე“. ამ დაბრუნების მეთოდიკამ, ანა, როგორც მედიკოსები ამბობენ, რეადაპტაციამ, წარმატებით გაიარა შემოწმება სადგურ „სალუტ-4“-ით ორი ხანგრძლივი ექსპედიციის დროს.

და მაინც, როგორია ახლა ობიექტურად კოსმონავტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასე დიდხანს რომ შრომობდნენ დედამიწის ფარგლებს გარეთ? მედიკოსების აზრით, ორივენ კარგად გადაიტანეს პასუხსაგები ოპერაცია — დედამიწაზე დაშვება. ისინი თვითონ გამოვიდნენ ხომალდიდან და სანიგნო ჯგუფის მოსვლამდე დამოუკიდებლად გამოიტანეს საჭირო აღჭურვილობა და დოკუმენტაცია, ეს კი მათს ფრენის-შემდგომ კარგ განწყობილებას მოწმობს.

ნ. ჟელეზნოვი,
(საკდესის საეც. კორ.).
ბაიკონურის კოსმოდრომი.

26 აგვისტო „ქრაქვდის ფურცლებზე“

გაერთიანების კომუნისტები

სამეურნეო მექანიზმის, საქმის ორგანიზაციის სრულყოფას მუდამ დგას ჩვენი პარტიის თვალსაზრდელი არეში. „ეკონომიკის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებები, — აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უფლება გვაქვს, უფრო მეტიც — ვალდებული ვართ მივეჩნიოთ როგორც უმნიშვნელოვანესი რეზერვი, რომლის გამოყენება დაგვეხმარება წარმატებით შევასრულოთ მეათე ხუთწლიანი გეგმა, უახლოეს მომავალში მივიღოთ ეფექტი“.

ამ მოკანის გადაწყვეტას ისახავს მიზნად საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შექმნა. მათი რიცხვი ქვეყანაში ახლა ორი ათასს აღემატება, ისინი მთელი სამრეწველო პროდუქციის თითქმის მეოთხედს უშვებენ. გაერთიანებები, რომლებიც ახლა მეურნეობრობისა და მართვის თვისებრივად ახალი ფორმაა, დიდ შესაძლებლობებს უსახავენ წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას სპეციალიზაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების დაჩქარების საფუძველზე.

გაერთიანებებში მოქმედებენ კომუნისტთა დიდი რაზმები. მათ ყოველდღიურად უნდა გაიაუმჯობესონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა კოლექტივებში, უჩვენონ შემოქმედებითი ძიების მაგალითი შრომაში.

გაერთიანების პარტორგანიზაციათა უპირველესი საზრუნავი ის არის, რომ შეარჩიონ და აღზარდონ კადრები, აამაღლონ მათი კვალიფიკაცია, ასწავლონ მართვის პრაქტიკა... კომუნისტები უნდა უჩვენებდნენ მაღალი პასუხისმგებლობის, მთლიანად კომპლექსის წარმატებისათვის მეურნის დაინტერესების მაგალითებს. უფრო კარგად უნდა წარმართოთ პროფკავშირული, კომკავშირული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეცადინეობა.

გაერთიანების კომუნისტები, აღნიშნულია მოწინავეში („გაერთიანების კომუნისტები“), რომლებიც ამაღლებენ სამეურნეო და პარტიული მუშაობის დონეს, ავითარებენ მშრომელთა ინიციატივას.

გაზეთის მეორე გვერდზე გვ.

ПРАВДА

დიდი ფეფსასეგა გვაკვალეგს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტია გენერალურ-მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე!

ტიუმენის ლენინის ორდენოსანი ნავთობ-გაზმომპოვებელი მთავარი საწარმოო სამმართველოს საწარმოები და ორგანიზაციები დიდი აღფრთოვანებით ჩაებნენ მეათე ხუთწლედის გეგმების განხორციელებისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

ციმბირის ნავთობისა და გაზის სიმდიდრეების ამთვისებელ პირველმკვლევართა გარჯის დიდი შეფასება, რომელიც პარტიის XXV ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაშია მოცემული, მშრომელებმა დიდი აღმავლობათა და მადლიერებით აღიქვეს. ეს შეფასება ჩვენალებს უფრო ეფექტიანად ვიმუშაოთ და კიდევ უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ წარმოების რეზერვები.

ჩვენ ხუთწლედის პირველი წლისათვის ვალდებულება ვიკისრეთ, რომ გეგმის გადამეტებით ორ მილიონ ტონა ნავთობს მოვიპოვებდით. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებამ, ჭაბურღილების, სამშენებლო, ბომბოფეებელი, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების მუშათა და სპეციალისტთა მასობრივმა შემოქმედებამ, სახელმწიფოს დიდმა დახმარებამ შესაძლებლობა მოგვცა გადაჭარბებით გავვანაღდებინა ვალდებულება, ნავთობის დასახულ ვადაზე გაცილებით უფრო ადრე მოპოვებამ გადააჭარბა დღე-ღამეში ნახევარ მილიონ ტონას. წლის დამდეგიდან გეგმის დამატებით მოპოვებულია მილიონ რვაასი ათასი ტონა ნავთობი.

რახან პარტიამ მოგვიწოდა საზამთრო სამშენებლოში ახალ-ახალი რეზერვები ვეძებოთ, ნავთობის მრეწველობა [illegible] ახალი გადიდებული ვალდებულება: სამშენებლოს წლის დამლაგამდე კიდევ მილიონი ტონა ნავთობი მივიცეთ, ეაეზარდოთ ხუთწლედის პირველ წელს ზეგეგმითი მოპოვება 2,8 მილიონ ტონამდე.

ამავე დროს გადაჭარბებით შეკასრულებთ ბურღვის, მშენებლობის, ტრანსპორტის გეგმებს, წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ყველა მაჩვენებლის დავალებებს.

ვალდებულებები განიხილეს და მიიღეს მთავარის სამმართველოს საწარმოთა ყველა კოლექტივში.

აღგიმქვამთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, რომ იმ ზრუნვის პასუხად, რომელსაც პარტია იჩენს ჩრდილოეთის მკაცრ პირობებში მომუშავე მშრომელებისთვის, დასავლეთ ციმბირის მენავთობენი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კიდევ უფრო, და რაც შეიძლება მალე განავითარონ ქვეყნის ახალი ნავთობის ბაზა.

დიდი მადლობა სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ნიადაგ რომ იღგწით მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის და დაუცხრომლად ზრუნავთ საბჭოთა ადამიანების საკეთილდღეოდ.

„მთავარტიუმენნავთობგაზის“ უფროსი
ვ. მურავლენკო

„მთავარტიუმენნავთობგაზის“ პარტკომის მდივანი ვ. ბირიუკოვი

ნავთობის, ქიმიური და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. გორიუნოვი

დავალება — ვადამდე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე!

დონეცკის ლენინის ორდენოსანი ქვანახშირის მომპოვებელი საწარმოო გაერთიანების კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით შრომობს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მეშახტეთა შემოქმედებითი ძალების ახალი მოზღვავება მოჰყვება დონბასის შემდგომი განვითარებისა და მაღაროელთა დამატებითი შეღავათების შესახებ პარტიისა და თავრობის დადგენილებებს.

ამ მამობრივი ზრუნვის პასუხად გაერთიანების შრომელებმა ვადამდე შეასრულეს მეშახტის დღის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. გეგმის გადაჭარბებით არის ამოღებული 800 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ქვანახშირი, გადაჭარბებით შესრულდა ძირითად ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებელთა დავალებები.

მეშახტეებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, შთაგონებს ყუბანელ მიწათმოქმედთა კეთილშობილური მაგალითი, რომლებმაც სახელმწიფოსადმი პურის მაყიდვის გადიდებული ვალდებულებები იკისრეს, და მათი თაოსნობის ის დიდი შეფასება, რომელიც მიეცით თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ.

ახლა ჩვენი ქვეყნის ყანებში დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს პურისათვის. ახსოვთ რა ლენინის სიტყვები, ქვანახშირი მრეწველობის პურია, გაერთიანების მეშახტეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კიდევ უფრო აამაღლონ მოშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, მეტი ქვანახშირი მისცეს სოფლურ სამშობლოს. გაერთიანების საწარმოთა მშრომელებმა თავიანთ კრებებზე გადასინჯეს ნაკისრი ვალდებულებები და იკისრეს ახალი:

— წარმოების ინტენსიფიკაციის ზრდის, საწარმო სიმძლავრეებისა და სამთო ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესების გზით 15 დეკემბრისათვის შეასრულონ ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმა, ამოიღონ მილიონ 100 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი, რაც 100 ათასი ტონით აღემატება ნაკისრ ვალდებულებებს; დამატებით გაასაღონ სულ ცოტა 13 მილიონი მანეთის პროდუქცია, მაშინ, როცა თავდაპირველი ვალდებულებებით გათვალისწინებული ჰქონდათ 10 მილიონი მანეთისა.

— წარმოების კონცენტრაციის დონის ამაღლების, შრომის ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფის, შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, წარმოების მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის გზით 101 პროცენტით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა; დაზოგონ 40 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 4.100 ტონა სათბობი, დამატებით მიიღონ 180 ათასი მანეთი, ანუ ადრე დასახულზე 30 ათასი მანეთით მეტი მოგება. იმ გზით, რომ გააძლიერონ მატერიალური და შრომითი რესურსების მომჭირნეობის რეჟიმი, შეამცირონ ელექტროენერგიის ხარჯვა 3,2 პროცენტით და სათბობისა — 2,5 პროცენტით;

— განაგრძონ მუშაობა, რათა კიდევ მეტად გაუძლიერონ საშიფო დასმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

— იკისრეს რა გადიდებული ვალდებულებები, გაერთიანების მეშახტეებმა გვთხოვეს გადმოგვეცა თქვენთვის, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, გულითადი მადლობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის უდიდესი მუშაობის გამო, იმ უყრადღებისა და ზრუნვის გამო, რომელსაც თქვენ იჩენთ საბჭოთა ადამიანებისათვის, და მტკიცე პირობა დადეს, რომ მთელ ძალღონესა და ენერგიას მოახმარენ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარდიოზულ წინასწარდასახულობათა შესრულებას.

გაერთიანების საწარმო-ორგანიზაციათა კოლექტივების დავალებით:

დონეცკის ქვანახშირის მომპოვებელი საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი
ვ. ეორეთინი

უკრაინის კომპარტიის დონეცკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ბირუნოვი

დონეცკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ტერიტორიული კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კომპანეცი

დამკვრელური შრომით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე!

„მოსენერგოს“ რაიონული ენერგეტიკული სამმართველოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები დამკვრელური შრომით უპასუხებენ შობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებას, რომ მეათე ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედად გადაქცეთ.

მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ ხუთწლედის პირველი წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს წარმატებით ვანაღდებთ. შემოქმედებითმა შეჯიბრებამ და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყველაზე სრული და ეფექტიანი გამოყენებისათვის ფრონო მომრთობამ შესაძლებლობა მოგვცა 1976 წლის შვიდი თვის განმავლობაში დაგვეზოგა 60 ათას ტონაზე მეტი სათბობი, ამის ხარჯზე გადაჭარბებით შეგვასრულებინა ელექტრო და თბოენერგიის წარმოების დავალება და გეგმის გადამეტებით გავგვესაღებინა 12 მილიონი მანეთის პროდუქცია, 49 მილიონი კილოვატსაათით შეგვემცირებინა ელექტროქსელების დანაკარგები. მიმდინარეობს სამუშაოები ელექტროსადგურების სმძლავრეთა გასაზრდელად და ენერგოსისტემის ელექტრო და თბოქსელების ასაგებად.

თქვენს მისალმებას, გულთბილ, გულითად სიტყვებს, რომლებთაც ყუბანისა და დნეპროპეტროვსკის კომბაინის ქარხნის მშრომელებს მიმართეთ, მათი პატრიოტული თაოსნობის დიდ შეფასებას მოჰყვა ჩვენში ძალებისა და ენერგიის ახალი მოზღვავება, უფრო უკეთ, ნაყოფიერად შრომის მხურვალე სურვილი. ჩვენ პასუხისმგებლობით ვეკიდებით მოვალეობას, რომ გადავაქციოთ მოსკოვის ენერგეტიკული სისტემა სანიმუშოდ, უზრუნველყოთ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყოველმხრივი ეკონომია. ჩვენ ყოველმხრივ ავეონდავუნონეთ არსებული შესაძლებლობა და რეზერვები და 1976 წლისთვის ვიკისრეთ დამატებითი სოციალისტური ვალდებულებები:

— დროზე მოვამზადოთ ენერგეტიკული საწარმოები ზამთრის პირობებში მუშაობისთვის, შევქმნათ სათბობის საჭირო მარაგი, უზრუნველყოთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის, მოსკოვისა და რიგასნის ოლქების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ენერგომომარაგება.

— დაწესებული გეგმის გადაჭარბებით სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებთან ერთად 1976 წლის დეკემბრში დავამთავროთ 250 ათასი კილოვატი სიმძლავრის მაღალეკონომიური სათბოფიკაციო ენერგობლოკის დადგმა № 23 თბოელექტროცენტრალში. დადგენილ ვადაზე სამი თვით ადრე ავამოქმედოთ № 9 თბოელექტროცენტრალში 110 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბოგენერატორი. ვადამდე. ენერგიკის ოლქის დღისათვის გადავცეთ საექსპლოატაციოდ სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზები, რომელთა სიგრძე 2.470 კილომეტრი იქნება.

— იმის გამო, რომ გაძლიერდა ეკონომიის რეჟიმი, ამაღლდა მოწყობილობის ექსპლოატაციის ტექნიკური დონე და კულტურა, წინანდელი ვალდებულებების დამატებით კისრულობთ დაეზოგოთ 35 ათასი ტონა პირობითი სათბობი, 5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 40 ათასი გიგაკალორია თბოენერგია.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე!

აღგიმქვამთ, რომ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ყველა მოსკოველი ენერგეტიკოსი გამოიყენებენ სოციალისტური შეჯიბრების პროგრესული ფორმებს და პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ დამატებითს ვალდებულებებს, ამასთან ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული დიდებული პროგრამის განხორციელებაში.

მოვუფრთხილდებთ ყველა მუშაკს, რომლებიც ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ დიადი ლენინური ანდერძის განხორციელებაში მონაწილეობენ, გამონახონ დამატებითი რეზერვები და შესაძლებლობა, რათა კიდევ უფრო აამაღლონ ენერგეტიკული წარმოების ეფექტიანობა და ხარისხი.

კოლექტივების დავალებით:

სოციალისტური ვალდებულებები გაანიხილეს და მიიღეს „მოსენერგოს“, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მუშაკთა კრებაზე.

„მოსენერგოს“ მმართველი ი. ეროზოვი

პარტბიუროს მდივანი ა. სმირნოვი

პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ხუსნუტდინოვი

კომკავშირის კომიტეტის მდივანი ს. დაბაევი

ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. კადარის შეხვედრა

26 აგვისტოს ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ი. კადარს, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვეეთ დასასვენებლად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში.

გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირისა და

მომავალი წლის მოსავალს აქედანვე ჩავუყაროთ საფუძველი

რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლეულის მომზადების მიმდინარეობა 20 აგვისტოსათვის (ცენტნერობით)

რაიონი	გეგმა	გამოყოფილია	კონდიციური	%	ე. წ. პირველი ჯერსი, პროცენტ.
ახალქალაქი	3990	—	—		—
ბოგდანოვკა	3000	3000	93,9		22,0
ახალციხე	5310	1248	9,4		100,0
ასპინძა	3900	655	10.5		—
ხაშური	11020	10070	13,6		46,7
ქარელი	17907	15605	25,2		94,3
გორი	18437	18065	72,0		93,0
კასპი	15982	12538	28,7		61,1
ბორჯომი	220	—	—		—
საგარეჯო	40617	15670	33,2		17,1
გურჯაანი	13404	11181	60,5		89,3
ხიღნალი	56355	52111	73,2		67,7
წითელწყარო	70667	65010	26,0		13,6
თელავი	11747	10037	73,3		43,5
ხმელეტა	11100	12650	79,3		35,8
ყვარელი	16650	18010	60,7		24,4
ლაგოდეხი	28765	20102	17,9		6,8
გარდაბანი	28124	20650	13,2		—
მცხეთა	6963	3024	14,7		26.8
მარნეული	22422	18350	8,7		—
ბოლნისი	16094	15310	12,7		19,5
წალკა	640	—	—		—
დუშეთი	9040	4300	5,5		—
თეთრიწყარო	25834	21570	31,2		40.3
დმანისი	11530	2118	18,4		23,6
თიანეთი	9594	1870	16,3		6,4
სამხრეთ ოსეთის ა/ო	23625	8786	5,0		32,8
წყალტუბო	8321	8110	15,6		11,8
სამტრედია	3490	1960	39,8		—
წულუკიძე	2680	110	—		—
ვანი	770	—	—		—
ზესტაფონი	792	1530	164,1		100,0
თერჯოლა	2850	1915	—		—
ჭიათურა	1530	502	—		—
საჩხერე	4470	825	8,3		18,9
ხობი	10	—	—		—
სულ რესპუბლიკაში	505603	380232	33,1		46,0

შენიშვნა: ადრე გამოქვეყნებულ გეგმას რაიონების მიხედვით დამატა 10.800 ცენტნერი, რომელიც უნდა მოამზადონ სხვა სახელმწიფო მეურნეობებმა.

სამარცვლედ განკუთვნილი საერთო რაოდენობის თესლს არ ემატება საკვები დანიშნულებით დაგეგმილი 37 ათასი ცენტნერი თავთავიანი კულტურების თესლი.

რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა წლეულს შემოდგომაზე დასათესად გეგმის მიხედვით (სამარცვლე მიზნებისათვის) უნდა მოამზადონ 505.603 ცენტნერი საშემოდგომო ხორბლისა და საშემოდგომო ქერის თესლი, აქედან: ხორბლისა — 423.344 ცენტნერი და ქერისა — 82.259 ცენტნერი. წლეულს 20 აგვისტოსათვის ფაქტიურად გამოყოფილი იყო 389.232 ცენტნერი ანუ გეგმის 75,2 პროცენტი და შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 33 პროცენტით ნაკლები.

კონდიციურ თესლში პირველი და მეორე კლასისაა 79,1 პროცენტი, მათ შორის პირველი კლასისაა მხოლოდ 47,2 პროცენტი, დანარჩენი — 18,2 პროცენტი დაბალი ხარისხისა — მესამე კლასისაა, მაშინ როდესაც შარშანდელი წლის ამავე დროისათვის პირველი და მეორე კლასის თესლეულის ხვედრითი წილი 90 პროცენტს აღემატებოდა.

ახალქალაქის რაიონში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის ვადები უკვე დადგა, მაგრამ საჭირო 3.900 ცენტნერიდან არცერთი ცენტნერი თესლი არა აქვთ მომარაგებული. მსგავსი მდგომარეობაა წალკის რაიონის მეურნეობებში.

საჭირო რაოდენობით თესლეული არ გამოუყვიათ გარდაბნის, მცხეთის, მარნეულის, თეთრი წყაროს, საგარეჯოს, თელავის, ლაგოდეხის, სამტრედიის, თერჯოლის, საჩხერის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივ მეურნეობებს.

დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს გამოყოფილი ხორბლისა და ქერის თესლის დასათესად მომზადება ხაშურის რაიონის მეურნეობებში. აქ კონდიციური თესლი მხოლოდ გეგმის 13,6 პროცენტი აქვთ, ხოლო გარდაბნის რაიონის მეურნეობებში — 13,2 პროცენტი, საიდანაც 66 პროცენტზე მეტი დაბალი ხარისხისა — მესამე კლასისაა და პირველი კლასის ნორმამდე აგია ერთი ცენტნერი არ აუფვნიათ. ამ რაიონის ნორიოს, მარტყოფის, ახალი სამყოროს, კრწანისის, ლილოს და ზოგიერთ სხვა საბჭოთა მეურნეობას სრულიად არ გააჩნიათ კონდიციური თესლი.

მცხეთის რაიონის მეურნეობებს თესლის გამოყოფის გეგმა სანახევროდ აქვთ შესრულებული და მეურნეობათა ხელმძღვანელობის დაუდევრობით სათეს კონდიციამდე მხოლოდ 15 პროცენტია აყვანილი. ასეთივე მდგომარეობაა ბოლნისის, დუშეთის, დმანისის, საჩხერისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობებში.

სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივ მეურნეობებში თესლის მომზადებას ისიც აფერხებს, რომ თესლის გამოყოფის გეგმა დღემდე სადაოა. ამიტომ გამოყოფილი 8.786 ცენტნერიდან გაწმენდილია მხოლოდ 1.190 ცენტნერი — გეგმის 5,2 პროცენტი.

მართალია, წითელწყაროს რაიონის მეურნეობებმა წლეულს საკმაოდ კარგი მოსავალი მიიღეს, მაგრამ ამ რაიონის ოზანის, წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობებს დასათესად არცერთი ცენტნერი ხორბლისა და ქერის თესლი არა აქვთ მომზადებული, ხოლო საერთოდ რაიონში პირველი კლასის ნორმამდე მხოლოდ 2.500 ცენტნერი იყო აყვანილი.

თელავის რაიონის ვარდისუბნის კოლმეურნეობას, თელავის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობას სრულებით არ აქვთ ხორბლისა და ქერის კონდიციური თესლი, ხოლო ბუშეტის კოლმეურნეობისა და შალაუოს სანერგე მეურნეობის მიერ გამოყოფილი თესლი მთლიანად გაუწმენდავია.

ყვარლის რაიონის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობაში გამოყოფილი 1.000 ცენტნერი ხორბლის თესლი უკონდიციოა.

ლაგოდეხის რაიონის მეურნეობების უმეტესობას უხარისხო სათესლე მასალა აქვს. 23.000 ცენტნერის ნაცვლად გამოყოფილი 17.492 ცენტნერიდან 12.245 ცენტნერი ანუ 72 პროცენტი უკონდიციოა, ხოლო ნინიგორის კოლმეურნეობას სრულებით არ გააჩნია სათესლე მასალა.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურების დასათესად მომზადებაში ანალოგიური დარღვევებია რესპუბლიკის სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებშიც.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის ვადები ზოგან უკვე დადგა. ბევრ რაიონში კი თესვა 10-15 სექტემბრიდან მასობრივად დაიწყება. ამდენად საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლეულის დასათესად მომზადება უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს პირველი სექტემბრისა.

რაიონებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელებს უნდა შეეახსენოთ, რომ თესლეული დასათესად მომზადებულად მაშინ ითვლება, როცა ყველა მაჩვენებელი აკმაყოფილებს პირველი კლასის ნორმებს და მაღალწყოფიერია.

მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციების რესპუბლიკური სამმართველო.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. შ. მ. შაკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოთა სიგელით დაჯილდოების შესახებ

პატრიოტულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დამდების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შოთა მამოს-ძე შაკაია დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1976 წლის 25 აგვისტო.

გ ა ბ ხ ო რ ე ბ ა

იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის ანგარიშში, რომელიც დაიბეჭდა „ზეზეთ „კომუნისტში“ ამა წლის 25 აგვისტოს, პირველი გვერდის მეორე სვეტში ბოლოდან მესამე აბზაცი უნდა ეკითხებოდეს:

„ახლა საქართველოში დაახლოებით 400 ზარალიანი სამრეწველო საწარმო, მშენებლობა, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობაა. 1980 წლისათვის რესპუბლიკაში არ უნდა იყოს არცერთი ჩამორჩენილი, ზარალიანი წარმოება“. (საქინფორმი).

ჰელსინკის სულისკვეთებით

ტურკუ. დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და ფინეთის დამოყვრებული ქალაქების წარმომადგენელთა მეოთხე შეხვედრა, რომელზეც ერთსულოვნად მიიღეს „მიმართვა ევროპის ქალაქების მცხოვრებლებისადმი“, ხელი მოაწერეს სტოკჰოლმის ახალ წოდებას.

ჩვენი შეხვედრა, ნათქვამია მიმართვაში, გაიმართა ერთ წელიწადში მას შემდეგ, რაც ჩვენი კონტინენტის ცხოვრებაში მოხდა ისტორიული მოვლენა — წარმატებით დამთავრდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელმაც მშვიდობის განმტკიცებისა და დაძაბულობის შენელების ახალი პერსპექტივები დაგვისახა. თანამედროვეობის საკვანძო პრობლემად რჩება გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, განიარღება. შეხვედრის მონაწილეებმა, რომლებიც ერთსულოვნად იწონებენ სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას მსოფლიოს ხალხებისადმი, ხელი მოაწერეს მშვიდობისათვის მებრძოლთა ამ მოწოდებას.

ჩვენ მოვუწოდებთ ევროპის ქალაქებსა და მათს მცხოვრებთ, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, ფართოდ იმოქმედონ მშვიდობიანი განვითარების პრობლემების შემდგომი პოზიტიური გადაჭრისათვის, სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის განხორციელებისათვის.

შეხვედრის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისა და ფინეთის დამოუკიდებლობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს დაიკავებენ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ქალაქების ურთიერთობაში 1977 წელს.

დამოყვრებული ქალაქების შემდგომი შეხვედრა 1978 წელს გაიმართება საბჭოთა კავშირში.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა მოითხოვს

ნიუ-იორკი. აქ მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რასობრივი დისკრიმინაციის საელიკვიდაციო კომიტეტის XIV სესიამ.

კომიტეტმა ერთსულოვნად მოიწონა მოხსენება, რომელიც განსაკუთრებულად წარედგინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ XXXI სესიას. ეს მოხსენება გმობს „ულმობელ რეპრესიებს, რომლებსაც სამხრეთ როდეზიის უკანონო რეჟიმი განაგრძობს ქვეყნის აფრიკელი მოსახლეობის წინააღმდეგ“. კომიტეტმა მოითხოვა მიანიჭონ ზიმბაბვეს ხალხს თავისუფლება და დამოუკიდებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომელსაც ფართოდ უაჭირა მხარი საერთაშორისო საზოგადოებრიობამ. მოხსენება მკვეთრად გმობს სოლსბერის ხელისუფლებს, რომლებიც უცხოელ დაქირავებულებს იყენებენ ერობენულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად.

კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა განხორციელდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის მიერ უკანონოდ ოკუპირებული ნამიბიის ხალხის ეროვნული თვითგამორკვევის ხელშეუშველი უფლება, მოხსენება კვლავ ადასტურებს, რომ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაცია, რომელიც სათავეში უდგას ნამიბიელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აფრიკის ამ ტერიტორიის მოსახლეობის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია. მოხსენება გმობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტებს, რომლებიც განაგრძობენ ნამიბიის მილიტარიზაციას და იყენებენ მის ტერიტორიას აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ აგრესიის აქტების ბაზად.

ფსოფვლიოს ავჯაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკდესი და უცხოეთის საგენტოები იტყობინებიან

ფაქტები, პრობლემები

26 აგვისტო

რ ე ქ ი ო ნ ი გ ა ნ წ ი რ უ ლ ი ა

დარ-ეს-სალამი. განმათავისუფლებელი მოძრაობის მასშტაბით შეშინებულმა სოლსბერის ხელისუფლებამ რეპრესიებს მიმართეს ქვეყნის აფრიკელი მოსახლეობის წინააღმდეგ. განაგრძობენ აფრიკელთა იძულებით გადასახლებას უგრეთ წოდებულ „გამაგრებულ სოფლებში“ იმ ვარაუდით, რომ იზოლაციაში მოაქციონ ზიმბაბვეს პარტიზანული რაზმები. ეს სოფლები სხვა არა არის რა, თუ არა საკონცენტრაციო ბანაკები. მათ გარს აკრავს ღობე და მიწაყრილი. დღამებისთანავე იქ მოქმედებს კომენდანტის საათი.

მოზამბიკთან, ზამბიასა და ბოტსვანთან როდეზიის საზღვრების გაყოლებით შემოღობილია „თავისუფალი ცეცხლის ზონები“ — ერთიდან ხუთ კილომეტრამდე სიგანის ზოლები, რომლებშიც გაუფრთხილებლად შეუძლიათ მოკლან ყოველი აფრიკელი.

საპყრობილეებში, რომლებიც ისედაც გაჭედილია ათასობით პოლიტიკური პატიმრით, განუწყვეტლივ მოჰყავთ პოლიციური თვითნებობის ახალი მსხვერპლნი. რასისტულ დილეგებში სიკვდილით სჯიან ზიმბაბვეს პატრიოტებს.

ვაშინგტონი. შეერთებული შტატები სამხედრო ბიუჯეტს, რითაც აძლიერებს გამალებულ შეიარაღებას.

მთავრობამ კონგრესს სთხოვა დამატებით გამოუყოს 2,4 მილიარდი დოლარი შეიარაღების ახალი, კიდევ უფრო დამანგრეველი სისტემების შესაქმნელად. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ადრე თეთრმა სახლმა კონგრესში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალ საფინანსო წელს პენტაგონისათვის 113 მილიარდი დოლარი ასიგნების გამოყოფას, რაც ამერიკის შეერთებული შტატების რეკორდული სამხედრო ბიუჯეტია მშვიდობიან დროში. პრეზიდენტი ჯ. ფორდი კონგრესისათვის გაგზავნილ წერილში დამატებითს ასიგნებათა შესახებ აღნიშნავს, რომ ეს თანხა მოხმარდება საბრძოლო ხომალდების მშენებლობასა და სამხედრო დარგში სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს.

პენტაგონის „ოფიციალური“ ბიუჯეტის გარდა, კონგრესი ყოველწლიურად გამოპყოფს სახსრებს ეგრეთ წოდებული „სამხედრო მშენებლობის ა თ ვ ი ს“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი იარაღის წარმოებისა და განლაგების ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. წარმომადგენელთა პალატამ გუშინ ამ მიზნით 3,3 მილიარდი დოლარი გამოპყო 1977 საფინანსო წლისათვის. საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად კონგრესმენებმა ხმა მისცეს სახსრების ასიგნებას იმისათვის, რომ აშენდეს სამხედრო-საზღვაო ბაზა „ტრაიდენტის“ ტიპის წყალქვეშა რაკეტამზიდი ნავებისათვის, შეიქმნას პოლოგონი სამხედრო თვითმფრინავების ახალი ძრავების გამოსაცდელად და სხვ. კანონპროექტი უნდა განიხილოს სენატმა.

ა ძ ლ ი ე რ ე ბ ე ნ შ ე ი ა რ ა ღ ე ბ ა ს

ლ ი ბ ა ნ ი შ ე ტ ა კ ე ბ ა ნ ი

ბეირუთი. არაბული ქვეყნების უშიშროების ძალების სარდლის გენერალ მ. გონეიმის შუამავლობით მიღწეულია შეთანხმება, რომ მოწინააღმდეგე მხარეებმა აღარ დაუშინონ არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი ბეირუთის საცხოვრებელ უბნებს. შეთანხმებას, რომელიც 24 აგვისტოს სამეთაო შეეიდა ძალაში, ჯერჯერობით ყველა მხარე იცავს.

ლიბანის სხვა რაიონებში საბრძოლო მოქმედებას განაგრძობენ მემარჯვენე ქრისტიანული ძალების ქვეგანაყოფები და ეროვნულ-პატრიოტული ძალების და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანებული რაზმები. ბეირუთში ყველაზე ძლიერი შეტაკებანი ხდება სავაჭრო ცენტრსა, ქარვასლაში და ხანდაკვამიკის რაიონში. არტილერიის სროლა ვრძელდება ლიბანის დედაქალაქის გარეუბნებსა და მთის რაიონებში — სანინში, აინტურში, ალეიში, კახალეში. მემარჯვენე რაზმების ძალები არტილერიის ფართო მხარდაჭერით უტევენ ჩრდილოეთის ქალაქ ტრიპოლს.

ლიბანის პრესა ყურადღებას ამახვილებს იმ ვიზიტზე, რომელიც გუშინ დაამთავრა ორმა ამერიკელმა წარმომადგენელმა მემარჯვენეთა კონტროლს დაქვემდებარებულ ჯუნიაში, სადაც მათ მოლაპარაკება ჰქონდათ მემარჯვენე ქრისტიანული წრეების ხელმძღვანელობასთან. „ორიან-ქიურრი“ იუწყება, რომ მოლაპარაკების დროს მიღწეულ, კერძოდ, შეთანხმებას ჯუნიაში ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს გახსნის შესახებ.

ქვეყანაში ამერიკის საკონსულოს გახსნის გადაწყვეტილება რომელიც მემარჯვენე ქრისტიანულმა ძალებმა მიიღეს, აქ მიაჩნიათ ნაბიჯად, რომელიც მხარს უჭერს მემარჯვენეთა ცდებს ქვეყნის გაყოფის მიღწევაში.

დ ი ს კ რ ი მ ი ნ ა ც ი უ ლ ი გ ა ბ ე ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ნიუ-იორკი. ამერიკის რეაქცია ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურ პარტიას მომავალ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობაში.

ამას წინათ მენის შტატის ხელისუფლებმა მიიღეს დისკრიმინაციული გადაწყვეტილება, „ბათილად“ ცნეს კომპარტიის პეტიციაზე ამომრჩეველთა 4 ათასზე მეტი ხელმოწერა, რომელიც უფლებას აძლევდა ამ შტატის საარჩევნო ბიულეტენში შეიტანონ პრეზიდენტობის კანდიდატის, კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის გუს ჰოლისა და ჯავრის ტაინერის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატის გვარები.

თოთხმეტი ათას ხუთასი ჯარისკაცი, რომლებმაც თავიანთ თავს რეპრესიული პოლიტიკური ფუნქციები მიანიჭეს ოლსტერში „წესრიგის დასამყარებლად“, აძლიერებს კრიზისულ სიტუაციას ამ პროვინციაში. ბრიტანელ „წესრიგის დამცველთა“ ძალადობა ჩრდილოეთ ირლანდიაში ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს. **სურათზე:** ინგლისელი ჯარისკაცი ბელფასტის ერთ-ერთ ქუჩაში.

კანმრა პრესს-იუპი-საკდესის ფოტო.

მ თ ა ვ ა რ ი საფრთხეა იმპერიალიზმი

კაირო. მთავარი საფრთხე, რომელიც არაბულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეექმნა, იმპერიალიზმის ახალი მეთოდებია, განაცხადა ყოველკვირეულ „როზ ელ იუსუფისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ერაყის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა აზიზ შუქამედმა. ამ მეთოდების არსია გააქტიურონ თავიანთი აგენტებისა და მოკავშირეების საქმიანობა არაბულ აღმოსავლეთში, ისარგებლონ უთანხმოებით, რომელიც დროდადრო წარმოიშვება ხოლმე არაბული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა რაზმს შორის; ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებენ პატრიოტულ ძალებს, აღვივებენ ანტიკომუნიზმის ატმოსფეროს და სოციალისტური ქვეყნებისადმი სიძულვილს.

იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის ერთადერთი სამუალებაა, აღნიშნა შემდეგ ერაყის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა. განთავისუფლების, პროგრესისა და სოციალიზმის მთელი ძალების ერთიანობა.

სიონისტ-რასისტული ალიანსი

ნიუ-იორკი. ქვეყანამ შეიტყო ტელ-ავივისა და პრეტორიის ახალი სამხედრო მორიგების ამბავი. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, ამჟამად ისრაელის ჰაიფის გემთსაშენში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გასაგზავნად ამზადებენ რამდენიმე მორი მოქმედების რადიუსის ქვემეხიან ნავს, რომლებიც რაკეტებით არის აღჭურვილი. თვითეული ხომალდი 18 მილიონი დოლარი ჯდება.

ამავე დროს ტელ-ავივში მომზადების სასწრაფო კურსს გადის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების 50 სამხედრო მოსამსახურე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის ისრაელის შეიარაღების მიწოდების შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე 20-ზე მეტი საბრძოლო რეაქტიული თვითმფრინავის „ქფირის“ გაყიდვას. და ბოლოს, ისრაელისათვის სტრატეგიული ნედლეულის მიწოდების სანაცვლოდ პრეტორიის ხელისუფალნი თავიანთ განკარგულებაში მიიღებენ რთულ სამხედრო ელექტრონულ მოწყობილობას.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ისრაელისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო თანამშრომლობაში ახალი ეტაპი დადგა მას შემდეგ, რაც ფორსტერი ეწვია ტელ-ავივს ამა წლის აპრილში. ამ ვიზიტის დროს მან, კერძოდ, დაათვალიერა ისრაელის მთელი რიგი სამხედრო ბაზები და ქარხნები.

იმ დროს სამხრეთაფრიკელ რასისტთა მეთაური ჯოუტად უარყოფდა ორი რეჟიმის სამხედრო მორიგებას მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მრისხანე რეაგირების შიშით. მაგრამ დღეს რასისტთა ასეთი მორიგების ფაქტი უკვე ეჭვს იწვევს. იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნის აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

დედამიწის ფურგზე

მ ი ნ წ ი ს ძ ვ რ ე ბ ი ს სტატისტიკა

ნიუ-იორკი. 25 („პრავდის“ სპეც. კორ.). 1970 წლის აქეთ, როდესაც ოთურქეთსა და პერუში 67 ათას კაცზე მეტი დაიღუპა, წლევანდელი წელი მიწისძვრების რაოდენობითა და ძალით ყველაზე უფრო დამანგრეველი გამოდგა.

ასეთი დასკვნა გამოაქვთ დედამიწის ქერქის რხევის შესახებ წლევანდელი ინფორმაციის საფუძველზე „გეოლოგიური მიმოხილვის“ (აშშ-ში გამოდის) ავტორებს.

საშუალოდ მსოფლიოში ყოველწლიურად 16-დან 18-მდე დიდი და ერთი გიგანტური მიწისძვრა ხდება — გეგუბნება „მიმოხილვა“. თუმცა წლევანდელი წლის 8 თვის მანძილზე უკვე რეგისტრირებულია 10 დიდი და სამი გიგანტური ძალის მიწისძვრა. დიდ მიწისძვრად ითვლება ეპიცენტრში რიხტერის შკალის მიხედვით დედამიწის ქერქის 7-ბალიანი, რვა და მეტბალიანი რხევა.

„გეოლოგიურ მიმოხილვაში“ აღნიშნულია, რომ დაზუსტება იმისა, თუ წლეულს რამდენი კაცი დაიღუპა მიწისძვრის შედეგად, ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან არ არის მონაცემები ჩინეთში უკანასკნელი სტიქიური უბედურებისაგან დაღუპულთა შესახებ. მაგრამ უკვე ცხადია, რომ დღეისათვის მიწისძვრის შედეგად 27 ათასზე მეტი კაცი დაღუპა. თებერვალში 23 ათასი კაცი დაიღუპა ჯავტემალაში, მაისში 900 კაცი ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში, ივლისში კუნძულ ბალიზე ექვსასი და სულ ცოტა — 3100 კაცი — აგვისტოში, ფილიპინებზე.

ყოველი მხრიდან

● **რაბათი.** მაროკოს დედაქალაქში დამთავრდა პირველი კონფერენცია არაბული ქვეყნების განვითარებაში მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენების საკითხებზე.

● **ლონდონი.** ლონდონის „ოოპერაციული საზოგადოების მდივანმა ჯონ ეტკინსონმა ლეიბორისტულ ჟურნალ „ლეიბორ მანსლში“ მოუწოდა ინგლისელებს ყოველნაირად დაუჭირონ მხარი სტოკჰოლმის ახალ მიმართვას. ამ მიმართვას, რომელიც მოითხოვს თანამშრომლობას მშვიდობისა და პროგრესისათვის და განიარაღების მსოფლიო კონფერენციის დაუყოვნებლივი მოწვევისათვის, უკვე ხელი მოაწერა ბერგრამ ინგლისელმა, აღნიშნავს იგი.

● **ნიუ-იორკი.** საავტომობილო კომპანია „ჯენერალ მოტორს (კორპორეიშენს“ გამოაცხადა თავის პროდუქციაზე ფასების მორიგი მომატება. 1977 წლის გამოშვების ავტომანქანების მოდელები საშალოდ 5,8 პროცენტით გაძვირდება.

დაძაბულობის შენელება და კლასობრივი ბრძოლა

საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და კლასობრივი ბრძოლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ეპოქის საზოგადოებრივი პროგრესის დიალექტიკის ორი სხვადასხვა ასპექტია. ერთი გამოხატავს საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების მოთხოვნებს, მეორე — მუშათა კლასის იმ მწვრმელთა მოთხოვნილებას, რომელიც გამოდის თავისი სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, საზოგადოების სოციალური გარდაქმნისათვის.

დაძაბულობის შენელებას საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში თან სდევს დიდი ცვლილებები, ამასთან ამ ცნების შინაარსის ირგვლივ მიმდინარეობს მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა.

ბურჟუაზიის იდეოლოგები და პოლიტიკური მოღვაწეები საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ანტიკომუნიზმისა და „ცივი ომის“ მომდევრები მას იღუნიასა და თვითმოტყუებას უწოდებენ. სხვები აღიარებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მაგრამ უპირისპირებენ მას კლასობრივ ბრძოლას. მაგალითად, სახელმწიფო სამართლის დარგში ცნობილი ამერიკელი სპეციალისტი რ. როზენკრანცი „ამტკიცებს, — თითქოს დაძაბულობის შენელება ნიშნავს იმას, რომ „რუსეთის რევოლუციური პოლიტიკა დასასრულს უახლოვდება“. დაძაბულობის შენელება უტოლდება სოციალურ სტატუს-ქვოს, ორ სიტემას შორის გავლენის სფეროთა განაწილებას, მათ „კონვერგენციას“, კლასობრივი ბრძოლის „გაყინვას“. დაძაბულობის შენელებისა და კლასობრივი ბრძოლის მოგონილი შეუთავსებლობა არის დღეს წვრილბურჟუაზიული რევოლუციონიზმის თეორეტიკოსების ამოსავალი წერტილი. ისინი ამტკიცებენ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა თითქოსდა ეწინააღმდეგება რევოლუციური მოძრაობის მიზნებს, ხელს უშლის მშრომელთა ბრძოლას თავისი ინტერესებისათვის, განამტკიცებს კაპიტალისტური წყობილების პოზიციებს. ამ საკითხში ყველაზე მეტად ცოდავენ მაოისტები. საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას ჩაშლა გახდა მათ მიერ დასახული საგარეო პოლიტიკის ავანტურისტული კურსის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

ნათელს ჰფენდა რა ამ საკითხს, სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი ხაზგასმით ამბობდა, რომ დაძაბულობის შენელებას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია და არც შეიძლება შეცვალოს კლასობრივი ბრძოლის კანონები.

სოციალიზმი, რომელიც ხორცს ასხამს მუშათა კლასის იდეალებსა და მიზნებს, თავის ძალიერებასა და არსებობას ადასტურებს იმ ფაქტით, რომ მარგვოლუციონერებელ გავლენას ასდენს ყველა ქვეყანაზე. ისტორიული სცენიდან კაპიტალიზმი არ ჩამოდის ბრძოლის გარეშე. მის პოზიციებს ამაგრებენ გარკვეული ძალები. თანამედროვეობა ეპოქაში ორ სისტემას შორის არსებობს წინააღმდეგობის ორი პოლუსი. მათი ურთიერთობის ყველა სფეროში შეუნელებელი ბრძოლა გარდაუვალია.

პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ ამ ორთაბრძოლის არსენალიდან ამოდებულ იქნას ომი, კონფრონტაცია, ძალის ან ძალის მუქარის გამოყენება.

უგნურებაა დაძაბულობის შენელება დაუშვაკვლიროთ კაპიტალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლის შეწყვეტას, სოციალური ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების დაკოსერვებას.

პირიქით, როგორც ევროპის 29 კომუნისტური და მუშათა პარტიის კონფერენციის შემაჯამებელი დოკუმენტი მოწმობს: მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება ქმნიან საუკეთესო პირობებს მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიული ძალების ბრძოლის გასაძლიერებლად, ყოველი ხალხის იმ ხელშეუხები უფლების დასაცავად, რომ მშვიდობიანი, თავისუფლად აირჩიოს თავისი განვითარების გზა და იაროს ამ გზით მონოპოლიის ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

რევოლუციის გარდუვალობა განისაზღვრება კაპიტალიზმის განვითარებით, მისი კლასობრივი ანტაგონიზმებით. არავის შეუძლია მისცეს ხელშეუხებლობის სიგელი კაპიტალიზმს ამა თუ იმ ქვეყანაში, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა რევოლუცია შეკვეთით არ ხდება, იგი უკმაყოფილო ხალხთა მასების აფეთქების შედეგია.

სხვა საქმეა, რომ დაძაბულობის შენელება ქმნის ხელსაყრელ საგარეო პირობებს კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლებისათვის. იგი არაულებს იმპერიალიზმის ჩარევას სხვა ქვეყნების შინაგან საქმეებში, კონტრრევოლუციის ექსპორტს.

რაც მთავარია — დაძაბულობის შენელება ხელს უწყობს მშვიდობიან სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობას, სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებას მუშათა კლასთან, მთელი მ

ბასეჯის კონტროლიორ!

№ 115

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა რესპუბლიკაში ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს სახელმწიფო საგეგმო დავალების შეუსრულებლობაზე.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა წლიულს, პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გასუფჯობესებლად, ვადამდე, 25 ივნისისათვის შესრულეს სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის და მნიშვნელოვან სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა. დავალების ზევით გამოშვებულია 79,4 მილიონი მანეთის პროდუქცია.

სამწუხაროდ, საკავშირო დაქვემდებარების და საქართველოს ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ზოგმა საწარმომ თავი ვერ გაართვა 6 თვის დავალების შესრულებას, რეალიზაციის გეგმა ვერ გაანაღდა საკავშირო დაქვემდებარების 22-მა საწარმომ, ანუ საერთო რაოდენობის 17,7 პროცენტმა, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 18-მა, ანუ 14 პროცენტმა.

მეტად არასასარბიელო მდგომარეობა შეიქმნა ფერადი მეტალურგიის საწარმოებში. მაგალითად, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელმა კომბინატმა (დირექტორი ვ. მახარაძე), რომელსაც ადრე ახალ სამძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემასა და ათვისებაში მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა, მკვეთრად გაუარესა მუშაობა.

სამთო სამუშაოთა ორგანიზაციის გეგმით გათვალისწინებული ახალი უბნების დამუშავების დაჩქარების აუცილებლობის მიუხედავად, კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთა სამმართველოს (უფროსი უ. გასიევი) ხელმძღვანელობა გადაჭრით არ ებრძოდა გეგმების შესრულებისათვის, რამაც შრომის არასწორი ორგანიზაციის პირობებში .ზა პროდუქციის გაგზავნის სიძნელეებთან ერთად რეალიზაციისა და საერთოდ პროდუქციის გამოშვების გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია.

არადამაკმაყოფილებლად იმუშავა ქიმიური მრეწველობის საწარმოთა უმრავლესობამ რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში (დირექტორი ი. გრძელიძე) და ქიმიურ ქარხანაში (დირექტორი გ. ჯოგოლაძე) რეალიზაციისა და საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შეუსრულებლობა პირველ კვარტალში გაზის მიწოდების შეფერხებებსაც გამოიწვია, მაგრამ ნედლეულისა და ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის მიუხედავად, მეორე კვარტალში ჩამორჩენის აღმოფხვრა მეტად ნელი ტემპებით მიმდინარეობდა. ამის შედეგად სახალხო მეურნეობას დაკლდა 465 ტონა კაპროლაქტამი, 878 ტონა ციანისტური მარილები და 535 ტონა ქიმიური ბოჭკო და ძაფი.

გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩა საყოფაცხოვრებო ქიმიის საწარმოო გაერთიანება (გენერალური დირექტორი დ. თათარიშვილი). ამ გაერთიანებაში შემავალ თბილისის საწარმოში გეგმების შეუსრულებლობა ნედლეულის მიწოდებაში არსებული შეფერხებებით იხსნება.

ზოგიერთ საწარმოში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, რეზერვების გამოვლინებას. ბათუმის მანქანათაშენებელმა ქარხანამ (დირექტორი შ. კაკაძე) პირველ ნახევარში ვერ შეასრულა რეალიზაციისა და საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა. ამ საწარმოში არასაპატიო მიზეზებით სამუშაო დროის აღრიცხულმა დანაკარგებმა 2.632 კაცდღე შეადგინა, სახელმწიფოს დაეკარგა 143 ათასი მანეთის პროდუქცია. ანალოგიური მდგომარეობაა ბათუმის გაერთიანება „კავკაზტრანსფორმატორში“ (გენერალური დირექტორი ა. ჯიჯავაძე).

მართალია, წნორის მექანიკურმა ქარხანამ (დირექტორი ბ. ჯანაშვილი), პროდუქციის წარმოების დავალება 100,3 პროცენტით გაანაღდა, მაგრამ მიწოდებაზე განწესის უქონლობით, რეალიზაციის გეგმა მხოლოდ 94,7 პროცენტით შეასრულა.

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელობა სუსტად იბრძვის ნედლეულისა და მასალების გამოყოფისათვის, რის შედეგად მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს. საქართველოს ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს 19 საწარმოდან ბზიფისა და ბაბუშერას ხისდამამუშავებელმა კომბინატებმა, ცხინვალისა და ახმეტის ხე-ტყის კომბინატებმა ვერ შეასრულეს საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა, რაც გამოწვეულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოთა მიერ დახერხილი მერქნის არასრული მიწოდებით, თუმცა უკანასკნელ დროს ჩამორჩენა სწორდება.

ზოგან გამოვლინდა შედეგების შელამაზების მიზნით უკანონო ქმედობის, მიწერებისა და თვალის ახვევის ფაქტები. მაგალითად, გაერთიანება „ელექტროხელსაწყოში“ და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში (გენერალური დირექტორი ა. ბოხუა, ქარხანა „პიდრომეტხელსაწყოს“ დირექტორი ს. ჩიქოვანი, ქარხანა „თბილხელსაწყოს“ დირექტორი რ. ცაგარეიშვილი) ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობისა და წაყრუების შედეგად

მიწერები, თვალის ახვევა

ეფექტიანობის ამაღლებას, რეზერვების გამოვლინებას. ბათუმის მანქანათაშენებელმა ქარხანამ (დირექტორი შ. კაკაძე) პირველ ნახევარში ვერ შეასრულა რეალიზაციისა და საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა. ამ საწარმოში არასაპატიო მიზეზებით სამუშაო დროის აღრიცხულმა დანაკარგებმა 2.632 კაცდღე შეადგინა, სახელმწიფოს დაეკარგა 143 ათასი მანეთის პროდუქცია. ანალოგიური მდგომარეობაა ბათუმის გაერთიანება „კავკაზტრანსფორმატორში“ (გენერალური დირექტორი ა. ჯიჯავაძე).

მართალია, წნორის მექანიკურმა ქარხანამ (დირექტორი ბ. ჯანაშვილი), პროდუქციის წარმოების დავალება 100,3 პროცენტით გაანაღდა, მაგრამ მიწოდებაზე განწესის უქონლობით, რეალიზაციის გეგმა მხოლოდ 94,7 პროცენტით შეასრულა.

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელობა სუსტად იბრძვის ნედლეულისა და მასალების გამოყოფისათვის, რის შედეგად მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს. საქართველოს ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს 19 საწარმოდან ბზიფისა და ბაბუშერას ხისდამამუშავებელმა კომბინატებმა, ცხინვალისა და ახმეტის ხე-ტყის კომბინატებმა ვერ შეასრულეს საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა, რაც გამოწვეულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოთა მიერ დახერხილი მერქნის არასრული მიწოდებით, თუმცა უკანასკნელ დროს ჩამორჩენა სწორდება.

ზოგან გამოვლინდა შედეგების შელამაზების მიზნით უკანონო ქმედობის, მიწერებისა და თვალის ახვევის ფაქტები. მაგალითად, გაერთიანება „ელექტროხელსაწყოში“ და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში (გენერალური დირექტორი ა. ბოხუა, ქარხანა „პიდრომეტხელსაწყოს“ დირექტორი ს. ჩიქოვანი, ქარხანა „თბილხელსაწყოს“ დირექტორი რ. ცაგარეიშვილი) ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობისა და წაყრუების შედეგად

ნედლეულს ზოგავენ

„ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების „პლასტმასის“ ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის რეიდი საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ საამქრო კრებების დღეს მოეწყო. ამ დამთხვევამ სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ცისანა ჩოლაბარგია იმ აზრამდე მიიყვანა, რომ ნედლეულის დაზოგვის საერთო კომისიას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დისციპლინის საკითხებისათვის.

სახალხო კონტროლიორების აქტიურობამ შესაძლებლობა შექმნა არა მარტო გამოვლინებინათ ერთ-ერთ საამქროში ნედლეულის ხარჯვის ნორმების დარღვევა, არამედ მიეგნოთ კიდეც მიზეზებისათვის, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამას.

მაგალითად, სახალხო კონტროლიორების ჩარევის შედეგად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 8,8 ტონა თერმორეაქტიული მასალები დაიზოგა, ხოლო 7 თვეში საწარმოს 34,8 ტონა ძვირადღირებული პოლივინილქლორიდი დაუზოგეს.

განსაკუთრებით ძნელ საკითხებს სახალხო კონტროლიორები ქარხნის პარტიული კომიტეტის დახმარებით წყვეტენ. მაგალითად, შარშან სარეიდო ბრიგადამ საწნეხ საამქროში გამოავლინა ნედლეულის რეკორდული გადახარჯვა — 3,2 ტონა. მდგომარეობა პარტიული ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს.

ახლა საწნეხ საამქროში მასალებს უფრო გონივრულად დადგენილი ნორმების მიხედვით ხარჯავენ, რაც სახალხო კონტროლიორების დაშახურებაც არის.

თბილისში ახლა მოქმედებს სახალხო კონტროლის 2832 ჯგუფი და 4863 საგუშაგო, რომლებშიც გაერთიანებულია 50 ათასი სახალხო კონტროლიორი. შარშან მათ 22.807 შემოწმება, დათვალიერება და რეიდი მოაწყვეს და სამი მილიონ 700 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ნედლეული და ელექტროენერგია დაზოგეს. (საქინფორმი).

სურათზე: თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის — „საბჭოთა საქართველოს“ სახალხო კონტროლიორთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან — სამღებრო და საქსოვი წარმოების კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეები ვ. ბუაძე და ნ. ვაჭარაძე და კონტროლიორი რ. ფაშიშვილი ამოწმებენ ქსოვილის ხარისხს.

ს. კილაძის ფოტო.

„კომუნისტის“ რეიდი

რადიო დუმს, მაღაზიები დაკეტილია

მეტი ყურადღება მთის სოფლებს.

ᲐᲠᲪ ᲝᲗᲮ ᲝᲗᲮᲘ დიდი ხნის წინათ აჭარის მაღალმთიანი რაიონების სოფლების მცხოვრებლებს მიუწვდომელ ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული ელექტროდენი, სამანქანო გზა, მაღაზია. დრომ გადამწყვეტი სიტყვა თქვა. მთის ფერდობებს ადამიანი შეეჭიდა და მანქანას გზა გაუკაფა, ჩიტის ბუდეებივით მთების მიხუტებულ ოდა-სახლებში ილიჩის ნათურები აკაშკაშდა, რადიოტალღებმა ახალი ამბები მოიტანა, მაღაზიები საქონლით აივსო. ხალხმა ოცნება შეისრულა. მაგრამ მოგვიანებით არც ეს გახდა საკმარისი. მათ სხვა სურვილებიც გაუჩნდათ და ის სურვილებიც შეისრულეს, ბევრმა ავტომანქანა შეიძინა, გაჩქარა დაიდგა, ცისფერი ეკრანი აციმციმა. მთა ისევ მთად დარჩა, მხოლოდ შეიცვალა ხალხის მატერიალური პირობები, მათი ფსიქიკა, მათი გემოვნება და მოთხოვნილება. ის, რაც გუშინ ოცნებად მიაჩნდათ, დღეს აღარ აკმაყოფილებთ. ისინი მოითხოვენ არა მარტო ასორტიმენტის მრავალფეროვნებას, არამედ კულტურულ მომსახურებასაც.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ სასოფლო დასახლებებში?

შეიძლება ჩამოვთვალოთ ათობით დასახლება და საყოფაცხოვრებო მომსახურების მოწინავე მუშაკი, რომლებმაც პატიოსანი, ენერგიული შრომით მომხმარებლების პატივისცემა დიმსახურეს. ჩვენ ახლა მათს ჩამოთვლას არ შევუდგებით, რადგან ეს შორს წაგვიყვანდა. ესეც არ იყოს, მათს მოქმედებაში საკვრველს ვერაფერს ვხედავთ, რადგან ისინი ვალდებული არიან მშრომელებს კეთილსინდისიერად ემსახურონ. ეს მათი პროფესიული მოწოდებაა. ჩვენ იმ ჩრდილოვან მხარეებს გვინდა შევეხოთ, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება მომსახურების სფეროში.

ოცოდე წლის წინათ აჭარაში თითზე თუ ჩამთვლიდით ისეთ სოფლებს, სადაც რადიოიმომსახურება არ იყო. ახლა ერთეულები კი არა, ათეულობით არის სოფლები, სადაც რადიო დუმს. ხაზები დაწყდა, ბოძები დალპა, მათს აღდგენა-განახლებაზე მაინცადამაინც თავს არ იწუხებენ.

მთის რაიონებში სატელევიზიო-სატრანსლაციო ქსელის დამონტაჟება, შეიძლება ითქვას, მთელი კულტურული რევოლუცია იყო. სწორედ მთაში, იქ, სადაც რელიგიური გადმონაშთები ჯერ კიდევ ბოგინებს, ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ, ყველა სოფელში გამართულად როდი იღებენ გამოსახულებას. წელიწადზე მეტია, რაც ხაზი საექსპლოატაციოდ გადაეცა, ოი სრულყოფილად ყველგან ჯერ კიდევ არ მუშაობს.

მრავალი სოფლის მაღაზიაში შესვლა გესიამოვნებათ, კაპიტალური, ნათელი შენობა, გემოვნებით გაწყობილი თაროები, საქონლის მრავალფეროვნება, გულისხმიერი მომსახურება. მაგრამ ეს ყველაზე როდი ითქმის. ბევრგან მაღაზიები კარგი დუქნებად აქვთ გადაქცეული, როცა მოეპრიანებათ მაშინ დახურავენ, როგორც მოეხერხებათ, ისე მოამზადებენ. შემოწმების დღეს შუახეკვის რაიონის ქსელში არ იყო სარეცხის საპონი. ჭვანის მაღაზიაში საპონი გადამალული ჰქონდათ, გამყიდველმა მიიმიზეზა, რომ გამოვაინიო, ერთბაშად დაიტაცებენო.

ქედის რაიონულ ცენტრში არის ნახევრად მექანიზებული ბურის საცხობი, რომელიც სანახევროდ არის დატვირთული. სამგიეროდ, სოფლებში 4 პრიმიტიული ტიპის საცხობია. გარდა იმისა, რომ ისინი საწყაოვად უამრავ ხე-ტყეს ანადგურებენ, საცხობებში ანტისანიტარიაა, ხოლო რაიმე ტექნოლოგიური პროცესებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. შეიძლებოდა ქედის რაიონული ცენტრიდან გამომცხვარი ბური ყველა სოფელი მოემარაგებინათ, მაგრამ რაიკოოპკავშირის მესვეურებმა ტრანსპორტის უქონლობა მოიმიზეზეს. მიზეზის გამონახვა ადვილია, მთავარია საქმე გაკეთდეს, ბური ტექნოლოგიური პროცესებისა და სანიტარიის დაცვით გამოცხვეს. ასეთივე მდგომარეობაა შუახევისა და ხულოს რაიონების სოფლის საცხობებში. სოფელ ღორჯომის ბურის საცხობი სადაც არის დაინგრევა. ანალოგიური სურათია ფუშკურაულში.

ყველა მაღაზია როდი იცავს სამუშაო საათების გრაფიკს. ხულოს რაიონის რიყეთის სასურსათო მაღაზიების, დანისპარაულისა და თაგოს შერეული მაღაზიების შიმართ მშრომელებმა საყვედური გამოთქვეს — სამუშაო საათებში ზოგჯერ დაკეტილიაო.

შუახევის რაიონის ბუთურაულის მაღაზიას გარედან რომ არ ჰქონდეს აბრა, ვერც მიხვდებით მაღაზია თუ არის. მაღაზია ერთ პატარა ოთახშია მოთავსებული და მომხმარებელი ყივნიდან ვაჭრობს. ასეთ ვითარებაში კულტურულ მომსახურებაზე ან ასორტიმენტის მრავალფეროვნებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

კვების ობიექტებში ბევრგან ცუდი სურათი ვნახეთ. შუახევის რაიონის ხიჭაურის სასაუზმეში ბუფეტის მუშაკი გაუპარსავი და უსალათოდ იდგა დახლთან, ამასთან გაფუჭებული ხორცით ვაჭრობდა. უკეთესი მდგომარეობა არც ჭვანის სასადილოში იყო. კვების ბევრ ობიექტში არა აქვთ ცხელი წყალი, მაცივრები, იგრძნობა ანტისანიტარია.

რა არის ასეთი მდგომარეობის მიზეზი?

რაც მთავარია, იგრძნობა, რომ რაიკოოპკავშირები სუსტად აკონტროლებენ სავაჭრო საწარმოებს. სარეკვზების გამოსწორებაზე ნაკლებად ფიქრობენ. ამას ისიც ეშატება, რომ ქსელში შემთხვევითი ხალხი, უმთავრესად არასპეციალისტები მუშაობენ. მაგალითად, ხულოს რაიონის ქსელში მომუშავე 110 კაციდან სპეციალისტია — 13, ქედაში — 69-დან — 18. შუახევში — 91-დან — 11.

ზოგჯერ შეხვედებთ ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების ფაქტებსაც. მაგალითად, შემოწმების დღეს ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის უნივერმაღის გამყიდველმა ბ. კეკენერაძემ, აგრეთვე სილიბაურის ჩაის ფაბრიკის სასადილოს მებუფეტემ რ. კორძაიამ ზედმეტი გადასხდევინეს მომხმარებელს.

ფაქტი ჯიუტია, მას ვერსად გაექცევიო, მაგრამ დასჯა თვითმმართველი როდია. მთავარია საქმის გამოსწორება, მომსახურების ქსელში ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა მომხმარებელი დარწმუნებული იქნება, რომ მას არ მოატყუებენ, გულისხმიერებას არ მოაკლებენ, კულტურულად მოემსახურებიან, თავაზიანად მოეკითხებიან.

რეიდის მონაწილენი: მ. მახარაძე — ქედის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის“ რედაქტორი, **ნ. ხუციშვილი** და **თ. დიასამიძე** — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს აჭარის საინსპექციო პუნქტის სახელმწიფო ინსპექტორები, **ხ. ბერიძე** — შუახევის რაიონის სახალხო კონტროლის შტატგარეშე განყოფილების გამგე, **მ. გოგბილაძე** — „კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲡᲢᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲗ

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲔ

სოფელ ლაბრის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა გაერთიანების შემოწმების შედეგებზე ამსჯელა რაიონის კონტროლის კომიტეტმა. გამოირკვა, რომ ავადმყოფთა მიღებისა და მომსახურების პირობები ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს, არა აქვთ სამედიცინო დანიშარებისათვის საჭირო საშუალებები, არ წარმოებს სტაციონარიდან გაწერილი ავადმყოფების ამბულატორიულ მკურნალობაზე ზედამხედველობა. შემოწმების დღეს სამშობიარო სახლის მედდას ლ. სიჭინავას არ ჰქონდა მედიკამენტები, რომლებიც გამოწერილი ჰქონდათ ავადმყოფებს.

ნაკლოვანებებია კვების ორგანიზაციაშიც. არ წარმოებს ავადმყოფთა დიეტური კვება, დამზადებულ უელფათა კალორიის გაანგარიშება და სხვა. სავაჭრო ორგანიზაციებიდან პროდუქტების შემოტანა უზედნადებოდ ხდება. სამშობიარო სახლის მნე გ. თოდუამ, რომელიც ეუსპეციალისტის მოვალეობასაც ასრულებს, გამოწერა მენეჯ ავადმყოფებისათვის, რომელშიც გათვალისწინებული იყო ხორცი, ფეტვიერად კი სავადმყოფოს ხორცი არ ჰქონდა მიღებული. აღნიშნული დარღვევებისათვის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს ნ. მიქაიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მეკუჭნავე-ექსპედიტორი გ. თოდუა გადაყენა დაკავებული თანამდებობიდან და მასალები მის მიმართ ვადაუგზავნა საგამომძიებლო ორგანოს.

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ

სამშობიარო სახლში დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შემოწმებაზე იმსჯელა რაიონის კონტროლის კომიტეტმა. ვამორკვა, რომ ავადმყოფთა მიღებისა და მომსახურების პირობები ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს, არა აქვთ სამედიცინო დანიშარებისათვის საჭირო საშუალებები, არ წარმოებს სტაციონარიდან გაწერილი ავადმყოფების ამბულატორიულ მკურნალობაზე ზედამხედველობა. შემოწმების დღეს სამშობიარო სახლის მედდას ლ. სიჭინავას არ ჰქონდა მედიკამენტები, რომლებიც გამოწერილი ჰქონდათ ავადმყოფებს.

ნაკლოვანებებია კვების ორგანიზაციაშიც. არ წარმოებს ავადმყოფთა დიეტური კვება, დამზადებულ უელფათა კალორიის გაანგარიშება და სხვა. სავაჭრო ორგანიზაციებიდან პროდუქტების შემოტანა უზედნადებოდ ხდება. სამშობიარო სახლის მნე გ. თოდუამ, რომელიც ეუსპეციალისტის მოვალეობასაც ასრულებს, გამოწერა მენეჯ ავადმყოფებისათვის, რომელშიც გათვალისწინებული იყო ხორცი, ფეტვიერად კი სავადმყოფოს ხორცი არ ჰქონდა მიღებული. აღნიშნული დარღვევებისათვის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს ნ. მიქაიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მეკუჭნავე-ექსპედიტორი გ. თოდუა გადაყენა დაკავებული თანამდებობიდან და მასალები მის მიმართ ვადაუგზავნა საგამომძიებლო ორგანოს.

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სახელმწიფო საცალო ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგები შეიქნა სახალხო კონტროლის კომიტეტის მსჯელობის საგანი. შემოწმებამ მრავალი სკრიოზული დარღვევა გამოავლინა. ობიექტები არ მარაგდებიან პირველი მოთხოვნილების საქონლით. სოფელ ზოტის მაღაზიაში .რ შეაქვთ ბური, არ მზადდება კარქაში, აქ მხოლოდ კამფეტი და ღვინო იყიდება.

ᲑᲜᲘᲠᲘᲐ შემთხვევა, როცა საწყობებში ისეთი საქონელი აწყვია, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა. ნაკლოვანებები გამოვლინდა № 1 და № 2 ჩაის ფაბრიკების სასადილოებში. ნაკლები ყურადღება ექცევა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას. შუაფარცხის, ნაბილავის, ზომლეთის მაღაზიის მუშაკებს არ აღმოაჩნდათ სანიტარული წიგნაკები.

კომიტეტმა რაიკავშირსა და დაბის საზოგადოებების გამგეობათა თავმჯდომარეებს ა. დოლიძეს, ა. გიორგაძეს საყვედური, ხოლო სავაჭრო განყოფილებათა გამგეებს ი. ხიზანიშვილს, რ. მეგრელიშვილს, ი. ყელენტს სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

ᲛᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘ, ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲐᲮᲕᲔᲕᲐ

მთაშიაც მოვიდა ალოობა. ჩვენს კოლმეურნეობას 1114 ჰექტარზე აქვს ასაღები თავთავიანი კულტურები. მოსავლის აღების დაწყებამდე სახალხო კონტროლის ჯგუფისა და საგუშაგოების წევრებს თათბირზე გავაცანით მოსავლის უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში აღებასთან დაკავშირებული საკითხები, განსაზღვრეთ ამ საქმეში კონტროლიორთა ამოცანები, კოლმეურნეობის ცალკეული უბნების მიხედვით დამატებით შეეკმენით 7 დროებით საგუშაგო 23 კაცის შემადგენლობით.

ახლა ყველგან საჭიროა კონტროლიორთა ფხიზელი თვალი, ისინი ყოველდღიურად მინდვრად არიან და ამოწმებენ კომბაინების, აგტოტრანსპორტისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მუშაობას, მოსავლის აღების ხარისხს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას, ხარბლის დროზე გაწმენდას და შენახვას. საწყობებთან და საველე კალოებთან მოვაწყეთ საგუშაგოები, გამოდის საველე ფურცლები, ვამხელთ ნაკლოვანებებს.

განსაკუთრებით აქტიურად მუშაობენ სახალხო კონტროლის ჩანადიერების ბრიგადის კომისიის წევრები მზია გალეგაშვილი და ციალა ყარსიმაშვილი, მლაშის ბრიგადაში — მედეა პეტრიაშვილი, ბაზალეთის ბრიგადაში ციცინო მდორეული, კობიაანთკარის ბრიგადაში — მირეა ქურციკიძე და როზა ჭიკაძე, ჩირდილელიანთკარის ბრიგადაში გულო ხულელიძე, პირმისაანთკარის ბრიგადაში — მარიამ ვარსიმაშვილი და სხვები. ისინი სამაგალითოდ შრომობენ თავიანთ პოსტზე და ამავე დროს არ ივიწყებენ სახალხო კონტროლიორის მოვალეობასაც.

სახალხო კონტროლიორებმა გამოავლინეს და საააშკარაოზე გიტანეს მარცვლეულის დანაკარგის შემთხვევები, რაც გამოწვეული იყო კომბაინების უწესრიგო მუშაობით, ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანაკარგები მინიმუმამდეა დაყვანილი.

სპექტარო მოსავლიანობამ 23 ცენტნერს მიაღწია, მთის პირობებში ეს ცუდი მოსავალი რიდია. ცალკეულ ბრიგადებში მოსავალი ჰექტარზე 28 ცენტნერს აღემატება, ამაში სახალხო კონტროლიორთა წვლილიც არის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ მოსავლის სწორად და უდანაკარგოდ აღებისათვის, უუბნელ მხვნელ-მთესველთა პატრიოტული თაოსნობის სპასუხოდ საქართველოს შრომელთა მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

პ. ნათელაშვილი,
დუშეთის რაიონის ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის მეთაური.

კონტროლიორთა წვლილი

ᲚᲔᲜᲢᲔᲮᲘᲡ რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი ჯამარ გულბიანი მოელვარე ცას გაჰყურებდა, მისი გამჭვირვალებით ტკბებოდა, შემდეგ მზერა ამწვანებულ მიდამოზე გადაიტანა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია, თვალებში ათასნაირი ბრჭყვიალა წრეები და წერტილები ერთმანეთში ირეოდა. თვალები დახუჭა, რამდენიმე ხანს გაირინდა და როცა გაახილა, მზედგელობა დაბრუნებოდა. პირველად თვალებში საავადმყოფოს დანგრეული გარაჟი მოხვდა, რომელიც საცოდავად გამოიყურებოდა. ეთაკილა, გულიც ეტკინა და მოულოდნელად გონებაში ახალმა აზრმა გაუელვა, ბუღალტერი გუნტერ ტვილდიანი იხმო და თავისი გადაწყვეტილება გააცნო. მთავარი ბუღალტერი აღტაცებაში მოვიდა, ოვაცია აკლდა, თორემ სხვა არაფერი დაუკლია.

და აი გარაჟის შეკეთების ბედიც გადაწყდა. ახლა საჭირო იყო კაცი, ვინც იდეას ხორცს შეასხამდა და საავადმყოფოს მესვეურთა ერთობლივი არჩევანი რაიონის საფინანსო განყოფილების სახელმწიფო შემოსავლების ინსპექტორს ბორის გულბიანს დაუდო და სამუშაოს წარმოების ბედიც მიანდო. „საქმის მწარმოებელმა“ ოსეთი „მკვდარი სულების“ ბრიგადა შექმნა, რომ სულ ცეცხლი დაანთეს. ყოველგვარი სამშენებლო მასალები ხე-ტყე, ცემენტი, ქვა და ქვიშა მოზღვავდა, გარაჟი „ფეხზე დააყენეს“ და 5.178 მანეთი გაანაღდეს. აქედან 2818 მანეთი გაუეული „შრომის“ ღირებულების სახდაურად, ხოლო 2360 მანეთი — სამენი მასალებისათვის.

ყველაფერი ზეპირად, ნდობასა და ურთიერთგაგების საფუძველზე მოხდა, თორემ „საქმის მწარმოებელს“ ბორის გულბიანს სამშენებლო მასალების შეძენის ერთი საბუთიც კი არ წარმოუდგენია საავადმყოფოს ბუღალტერიაში. ივარძნეს რა საქმის რაღაც გაუმართობა, საავადმყოფოში არ დაბნეულან, გამოსავალი ნახეს, უკანონო ნამოქმედარის დასაფარვად მრავალი ქვითრებისა და საბუთების ნაცვლად, ერთი მთლიანი არზა, ანუ აქტი შექმნეს.

და აი შავზე თეთრით დაიწერა — სამუშაო შესრულებულია ზუსტად ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ხარისხიანად, მშენებლობისათვის საჭირო მასალა მოტანილი აქვს ბორის გულბიანს. ამ გულუბრყვილობას მეტი დამაჯერებლობა რომ მისცემოდა „საბუთზე“ სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის შტატგარეშე განყოფილების გამგეს ალექსანდრე მუკბრიანსაც მოაწერინეს ხელი და ნამოქმედარის უტყუარობა ამით „გაამაგრეს“.

სპეციალურად შექმნილმა კომისიამ არ იწამა „აქტის“ სიწორე და სამართლიანობა. შეამოწმეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, გამომეღვნენდა სიმართლე, საქმის ფაქტიური მდგომარეობა. გარაჟის რემონტისათვის 5.178 მანეთის ნაცვლად 3.511 მანეთი უნდა გაეცემულიყო, მაგრამ რატომღაც საავადმყოფოს მთავარ ბუღალტერს დღესაც არ სურს დაინახოს სიმართლე, იგი დღესაც იცავს „საქმის მწარმოებლის“ ბორის გულბიანის ნამოქმედარს.

კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა განიხილა შემოწმების შედეგები და ლენტეხის სახალხო კონტროლის კომიტეტის განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის შტატგარეშე განყოფილების გამგეს ალექსანდრე მუკბრიანსა და საავადმყოფოში ჩატარებულ სამუშაოთა აქტზე ხელის მოწერისათვის გამოუცხადა საყვედური. რაიონის საავადმყოფოში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოზე მიწერების შესახებ შემოწმების მასალები კონკრეტული დამნაშავე პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის გადაუგზავნა პროკურატურას.

კომიტეტმა ცნობად მიიღო, რომ საავადმყოფოს მთავარი ექიმი ჯამარ გულბიანი ჩატარებულ სამუშაოთა ცუდი აღრიცხვისა და ანაზღაურების წესების დარღვევისათვის, რასაც სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განიავება მოჰყვა, ლენტეხის რაიკომის ბიუროს მიერ განთავისუფლებულია თანამდებობიდან, ხოლო მთავარი ბუღალტერი გუნტერ ტვილდიანი სამუშაოდან მოიხსნა.

ჯ. ახვლედიანი,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

მკითხველის ფელეტონი

სავარძელი

ვიდრე ედგა პეტრეს
რბილი სავარძელი,
ვიდრე ყველფერზე
უწვდებოდა ხელი, —
ო, რა კაცი იყო, —
ლომი,
ბრძენთაბრძენი.
ეჩო იყო მხოლოდ,
სულ თავისკენ მთელი.
მაგრამ ახლა პეტრეს
დაუმოკლეს ხელი.
გაუხსენეს ყველა —
ახალიც და ძველიც.
ახლა არც ლომია
და არც ბრძენთაბრძენი.

შ. შუგლაძე.

სად ვიშოვოთ კოდექსი?

ᲩᲕᲔᲜᲨᲘ იურიდიული ლიტერატურა, კერძოდ კი საჭირო წიგნები — სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, საქორწინო და სხვა კოდექსები ძალიან მცირე ტირაჟით გამოდის. ხშირად ხდება, რომ თვით იურისტებსაც უჭირთ ასეთი წიგნების შოვნა. მკითხველები — ის, ვინც დაინტერესებულია იურიდიული ცოდნის დონის ამაღლებით, მაღაზიებში ასეთ წიგნებს, რა თქმა უნდა, ვერ შეულობს.

ვ. ბოგოხიძე,
პენსიონერი.

თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მუსიკალურ-საკლავიშო ინსტრუმენტების ქარხანა, გარდა საკრავი ინსტრუმენტებისა, გასაშლელ სასადილო მაგიდებსაც უშვ

მასწავლებლის ფიქრები

აღზრდა — უპირველესი საზრუნავი

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება საბრძოლო პროგრამაა თვითეული ჩვენგანისათვის. მასში ნაჩვენებია კონკრეტული გზები და ამოცანები, რა მიმართულებითაც ჩვენ შემდგომი მუშაობა უნდა წარმართოთ. სასწავლო წელი კარზეა მომდგარი და აღნიშნული დადგენილების კონკრეტულად შესრულებაც ამოცანად იწყება.

„გაბადგდგულია კონკრეტული ნაბიჯები სახალხო განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის. მეტი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას“. გკითხულობთ დადგენილებაში, და ვგრძნობთ, რომ სკოლის მუშაობის ახალ მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნა, რიგითი კამპანია არ არის. საქმე მოითხოვს სახალხო განათლების ყველა მუშაკის, თვითეული ჩვენთაგანის გეგმაშეწონილ, ერთობლივ, თანმიმდევრულ მუშაობას. ასეთია დღეს ჩვენი განწყობილება. ეს კი შედეგია რესპუბლიკაში მოსწავლეთა ღრმა ცვლილებებისა, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ყველა უბანს შეეხო. საქართველოს განათლების ფრონტის მუშაკებმა, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად, მხურვალედ დავუჭირეთ მხარი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ცხოვრების ლენინური ნორმების განმტკიცებისათვის უკომპრომისო ბრძოლაში. მართლაც, პარტიული ხელმძღვანელობის ცხოველმყოფელი ზეგავლენა სულ უფრო საგრძნობი ხდება ჩვენი სკოლის, მასწავლებლის ცხოვრებაში, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებასა და სრულყოფაში.

მაგრამ უნდა გავაქტიურდეს სასკოლო საქმეში, მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

ოჯახი — სკოლამდელი აღზრდის სისტემა — სკოლა — წარმოება — სასწავლებელი — საზოგადოება — ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდნენ — ზრდიდნენ თვითეულ მოსწავლეს სოციალისტური დისციპლინის სულისკვეთებით.

მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ მოვიმკით ჩვენი შრომის საუცხოო ნაყოფს.

ამ დღეებში ერთი გაზეთი წერდა, თუ როგორ ზრუნავს საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრო, მისი პარტიული ორგანიზაცია, თვით მინისტრი სკოლაზე, როგორ ამაღლებენ იმ თანამშრომლების პასუხისმგებლობას, ვისი შვილებიც მოსწავლეები არიან. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველგან და ყოველთვის ასე არ იქცევიან.

ყველამ კარგად იცის, რომ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მათი კომუნისტური სულისკვეთებისა და პოლიტიკური შეხედულების ჩამოყალიბება მთელი ქვეყნისა და განსაკუთრებით სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე ადასტურებს, რომ ღელვა, როგორც არასდროს, ბევრად უფრო რთულია მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობა, რადგან სწრაფი ტემპით იზრდება მოსწავლეების წარმოდგენათა სფერო, ფართოვდება მათი შემეცნებითი სამყარო. სწორედ ამის გამო სკკპ XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა მასწავლებელთა კადრების მომზადების შემდგომი სრულყოფისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამ ბოლო ხანებში შემოღებული მასწავლებელთა ატესტაციის დიდი მნიშვნელობა. ატესტაციამ დაგვანახვა, რომ საქმისმოყვარე, ენერგიული, მცოდნე პედაგოგთა არმიასთან ერთად საკმაოდ გვყავან სკოლებში მართლაც რომ შემთხვევით მოხვედრილი ვაი-პედაგოგები.

ყველასათვის გასაგებია თუ სწავლისა და მოქალაქედ ჩამოყალიბების საქმეში რამდენი სიკეთე დაკალეს მათ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას. მასწავლებელთა ატესტაცია გრძელდება და უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. სკოლაში ბავშვებთან მხოლოდ რჩეულნი უნდა მუშაობდნენ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ როცა თვალს ვავლებ ჩემსა თუ ჩემი კოლეგების მუშაობას, თავისებური უკმაყოფილების გრძნობა მეუფლება. რატომ? — ალბათ იკითხავთ. იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ყველაფერს ვერ ვაკეთებთ, რათა ჩვენი ყოველი აღსაზრდელი სკოლას ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებული, დიდი ცხოვრებისათვის ყოველმხრივ მომზადებული ამთავრებდეს.

და შეუძლებელია, რომ ეს დებულება საკამათო გახდეს. სასკოლო კურსის მყარი ცოდნა თანაბრად მოეთხოვება ყველა მოსწავლეს. ის სკოლა, რომელიც ამ ორიენტირს დაკარგავს, კარგავს ავტორიტეტს, ღირსებას, წონას. აი ამიტომ სასკოლო კურსის კარგად დაუფლების ამოცანა ერთობლივი ფრონტალური ამოცანაა.

მაგრამ თუ ჩვენს საქმიანობას გადავხედავთ, ყველაფერი წესრიგში როდი გვაქვს. ეს, უპირველესად, ჩვენს მიერ დაწერილი ნიშნების ობიექტურობას ეხება. მართალია, ჯერ ჯერობით აქა-იქ კიდევ არის შემორჩენილი „პროცენტომანიის“ ბანები სენი. მაგრამ უამისოდაც მოსწავლის ყოველი ნიშანი რეალური რიდია. ეს უპირველესად, სამიანზე ითქმის. ჩვენი მოსწავლეთა უმრავლესობა, განსაკუთრებით კი მაღალ კლასებში, ხომ სამოსნები არიან და ზოგჯერ ეს სამიანი დამახსოვრებულ ორიანს უდრის. მხედველობაში მაქვს ბოლო დროს მასწავლებელთა შორის დამკვიდრებული გამოთქმა: „3“-ს ვწერ, ხოლო „2“-ს ვიმახსოვრებო.

და უფრო სამწუხარო ის არის, რომ სკოლადამთავრებული ასეთი სამოსანი მოსწავლე მომავალში ასეთივე სამოსანი სპეციალისტი ხდება. ხოლო შემდეგ ასეთი საშუალო სპეციალისტისაგან მოვითხოვთ ხარისხიანი შრომის შედეგს. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ამის სათავესთან ისევ ჩვენ, პედაგოგები ვდგევართ. ბავშვი სკოლაშივე ეჩვევა ერთგვარ შეღავათებს ცოდნის შეფასებაში, ქცევის შეფასებაში. ასეთი შეღავათები მას თავისებურ იმუნიტეტად ეხდება და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება.

ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ფორმალიზმაა. იგი მოკალთებულია დიდსა თუ პატარა საქმეში. მიზეზი ზოგ ლა და ტექნიკური სამუალებების ფართოდ დანერგვა. ძველი კი არა, ზოგჯერ ახლად აშენებულიც კი მოძველებულია სადღეისო ამოცანებისათვის. სკოლა ნამდვილად ცოდნის სასახლე უნდა იყოს!

სკოლაში რუსულ ენას ვასწავლი და კარგად მესმის რა დიდია რუსული ენის მადლი და ძალა ხალხთა ურთიერთობის განვითარებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, გაითვალისწინეს რა თანამედროვე პირობებში რუსული ენის შესწავლის დიდი მნიშვნელობა და ამ საკითხით ფართო საზოგადოებრიობის დაინტერესება, 1973 წლის აგვისტოში გადახილეს რესპუბლიკის სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობა და მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

დღეისათვის რუსულმა ენამ ღრმად შეაღწია ჩვენი ხალხის კულტურულ, ეკონომიურ და სამეურნეო ყოფაში. იგი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების დადებით სოციალურ ფაქტორად იქცა. სკოლა და ყოველდღიურობა ერთიმეორეს ხელს უწყობს და ამიტომ ახლა ცოტა როდია საშუალო სკოლადამთავრებული, რომელმაც კარგად იცის რუსული ენა.

და მაინც ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს ამ საგნის სწავლების წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს. არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ვერ ახერხებს მარტივ საუბარს რუსულ ენაზე, მცირე ლექსიკური მარაგი აქვს და დაბალია მისი ზეპირი მეტყველებისა და წერის კულტურა.

არამშობლიური ენის სწავლებისას მეცნიერებას ჭეშმარიტებად მიაჩნია გამოთქმა: — „ზეპირი მეტყველება“ შეიძლება განხორციელდეს მეთოდით — „ზეპირი მეტყველებით“.

მაგრამ მასწავლებელთა ერთი ნაწილი უნარიანად ვერ იყენებს ამ მეთოდს და რუსულ ენას გრამატიკის, თეორიული მასალის დაზეპირების გზით ასწავლის. ამიტომ მოსწავლეთა ერთ ნაწილს, სიძნელეებს რომ აწყდება, საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

დიდი ილია წერდა: „რუსული ენა, ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდან გარეთ ფეხს გამოვდგამთ“.

აქვე დავუმატებთ „დედა ენის“ ავტორის — იაკობ გოგებაშვილის დიდ შეფასებას. აი რას ამბობდა იგი: „რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვნების ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭიროა მასში შევაბათ ძირში ქართული ენა და ყვერად მოვუბათ რუსული ენა... მაშინ, და მხოლოდ მაშინ ეტლი ჩვენის ეროვნებისა ჯეროვანი სისწრაფით ივლის ცხოვრების გზაზედ და მიაღწევს სამშვიდობო სადგურსა“.

რა გასაკვირია, რომ დღეს რუსული ენის ნებაყოფლობითი შესწავლა-დაუფლების მასშტაბი სულ უფრო ფართოვდებოდეს. მაგრამ არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც ვერ სწვდებიან ამ საკითხის არსს და ცდილობენ მასში დაინახონ რაღაც სხვა, ეროვნული ინტერესების შემბღალავი. მით უმეტეს სერიოზული შეცდომა მოსდის იმას, ვინც ფიქრობს, რომ სკოლაში რუსული ენის გაძლიერებული შესწავლა მწობლიური ენისა და ლიტერატურის საზიანოდ ხდება.

ამგვარი არაჯანსაღი მსჯელობა და მოუფიქრებელი დასკვნები ხელს უშლის სკოლას, მასწავლებლებს წარმატებით განხორციელდეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დადგენილება რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

მთელ ჩვენს ხალხთან ერთად, მთელ ჩვენს ინტელიგენციასთან ერთად პედაგოგებმაც კარგად ვიგრძენით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიკურის და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დიდი მზრუნველობა, ყურადღება და სითბო ჩვენი რესპუბლიკისა და ხალხისადმი.

პედაგოგებმა მთელი ჩვენი ცოდნა, ნიჭი და ენერგია ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის კეთილშობილურ, საშვილიშვილო საქმეს უნდა მოვახმაროთ.

აი ეს არის ამჟამად ჩვენი გადაუდებელი საბრძოლო ამოცანა.

ქ. ანთიძე,
თბილისის 36-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

ამინდი

გუშინ 13 საათზე ყველგან უნალექო ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო — 29 გრადუსი ონსა და ამბროლაურში აღინიშნა. დანარჩენ რაიონებში 22-25 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 27-30, მთებში 22-25 გრადუსი აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 31 გრადუს უნიშნებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 24-29, მთებში 23-28 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მთიან რაიონში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 29-34, მთებში 22-27 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ტემპერატურა 32-34 გრადუსი.

გვირილები — ს. კილაძის ფოტოეტიუდი.

ჟურნალების ახალი ნომრები

„ლიტერატურული გრუზია“

ჟურნალის ახალი ნომერი, რომელიც ახლახან გამოვიდა, იხსნება რუბრიკით „მეათე ხუთწლედის პრობლემები“, სადაც დაბეჭდილია ინტერვიუ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრთან ამხ. ნ. ჭითანავასთან.

პოეზიის განყოფილებაში მკითხველები გაეცნობიანენ ი. თარბას, მ. ქვლივიძის, ზ. შერაზადიშვილის ლექსებს, ხოლო პროზის განყოფილებაში — ნ. დუმბაძის, თ. მაღლაფერიძის, თ. ბიბილურის, ს. ჭილაიას ნაწარმოებებს.

რუბრიკით — „კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა“ — გამოქვეყნებულია კრიტიკოს ზ. აბზიანიძის დიალოგი თავის ლიტველ კოლეგებთან — ი. ლანკუტისთან, ვ. კუბილიუსთან და ა. ზალატორიუსთან.

მკითხველები ინტერესით გაეცნობიან წერილებსა და სტატიებს — ნ. ჟღენტის „პროტოტიპიდან მხატვრულ სახემდე“, ო. ფირალაშვილის „ხელოვნების მატრანსფორმირებელი უფლება“, ვ. ვლასოვის მოგონებებს ს. მ. კიროვზე, რ. შამელაშვილის რეცენზიას ცნობილი რუსი ქართველოლოგის პროფესორ გ. კლიმოვის წიგნზე — „ერგატულობის ზოგადი თეორიის ნარკვევები“.

„საქართველოს გუნება“

გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სტატეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ბუნების დაცვის“ და საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ მორიგი, მერვე ნომერი.

სურათზე: სოხუმის ნავსადგურში.
ე. ეგნეროვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფეხბურთი

პირველი გამარჯვება

„დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 1:0 (0:0).

26 აგვისტო, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი, მსაჯი მ. ჩერდანცევი (ალმა-ათა).

„დინამო“ — გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ჭორიძე (წერეთელი), გუცაევი (გ. მაჩაიძე), ჩელებაძე, კოპალეიშვილი.

„დნეპრი“ — კოლტუნი, დანილევსკი, ნაიდა, ბოგდანოვი, შელესტი, ტომახი (პილიპჩუკი), შნეიდერმანი, სოლოვიოვი, სამოილენკო, იაკოვლევი (გოლიკოვი), მალკო.

დინამოელები მოედანზე საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ — ტრავმირებულ მცველებს ჭელიძესა და მუჯირს ახლა თავდამსხმელები ყიფიანი და დარასელია დაემატნენ. ცხადია, ამას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა გუნდზე, რომელშიც არ ავრძნობოდა თამაშის კონსტრუქტორი განსაკუთრებით თავდასმის ცენტრში.

ეერიშების ორგანიზატორობა გუცაევმა იკისრა, მაგრამ პარტნიორები მას დიდად ვერ უბამდნენ მხარს.

მატჩს ნულოვანი შედეგი ემუქრებოდა, მაგრამ, როდესაც ფინალურ სასტვენამდე 8 წუთი იყო დარჩენილი, წერეთელმა მიიღო კოპალეიშვილის ზუსტი გადაცემა და შორიდან გაიტანა ბურთი კოლტუნის კარში. 1:0 — თბილისის „დინამომ“ მიმდინარე გათამაშებაში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ო. ნოზაძე.

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ სამი შეხვედრა გაიმართა გუშინ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე. აი მათი შედეგები:

„ზარია“ — „არარატი“ — 1:0
„კრ. სოვეტოვი“ — „შახტიორი“ — 0:0
„ზენიტი“ — „ლოკომოტივი“ — 1:0

აველანჭის განცხადება

ფეხბურთის წართამშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ეოაო აველანჭმა (ბრაზილია), რომელიც ახლა კუბაში იმყოფება, ჰავანაში ეურნალისტებთან საუბარში ილაპარაკა ფეხბურთის მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატების შესახებ.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატმა 1978 წელს ისევ 16 ფინალისტი იქნება, შემდეგ კი მოსალოდნელია ცვლილებები. ასე, მაგალითად, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც ესპანეთში იმართება, ფინალისტების რაოდენობა გაიზრდება 18-მდე, ან 20-მდეც კი.

ჭადრაკი

ყაიმი გოლო ტურზე

ესპანეთის ქალაქ მონტილიაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი. ბოლო ტურში მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა, რომელმაც უკვე გაიმარჯვა პირველი ადგილი, ყაიმით დაამთავრა პარტია ლიუბომირ კავალეკთან (აშშ). ამრიგად, ა. კარპოვმა 7 ქულა მოაგროვა.

მომდევნო ადგილებზე არიან მაიკლ სტინი (ინგლისი), კავალეკი და რიკარდო კალეო (ესპანეთი) — 5,5 ქულა თვითეულს.

მოკლედ

ფეხბურთი. ბარსელონაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ცსკა-მ პენალტებით (4:5) წაიგო პრაღის „სპარტასთან“ (ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1).

ტურინში გაიმართა ევროპის ჩემპიონის ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ამხანაგური მატჩი იტალიის „იუვენტუსთან“. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ჰელსინკში ფინეთის ნაკრებმა ანგარიშით 2:1 ამხანაგურ შეხვედრაში დაამარცხა თურქეთის გუნდი.

ხელბურში. შვეიცარიის ქალაქ ბაზელში გაიმართა ევროპის თასების გათამაშებათა წილისყრა. ვაჟთა შორის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ცსკა-ს მეტოქე იქნება გდრ-ის „ლეიპციგი“, ხოლო თასების თასზე მაი-ს გუნდი შეხვდება ბუქარესტის „დინამოს“. ქალებში კიევის „სპარტაკის“ მეტოქეა ჩემპიონთა თასზე პოლონეთის აზს-ი (ვროცლავი). პირველი მატჩები გაიმართება 8-დან 12 სექტემბრამდე, ხოლო სპასუხო — 22-დან 28 ოქტომბრამდე.

ზაუი. ჰოლანდიელმა დიდოსტატმა ჰ. ვირსმამ მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა ამსტერდამში. მან 14 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩნენ საბჭოთა დიდოსტატი ვ. შჩოგოლევი და ჰოლანდიელი რ. კლერკი.

რედაქტორის მოადგილე
გ. გოგიაშვილი.

ჩვენი ცნობარი

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

თბილისის პროფესიული სამაჯრო და კულინარიული სასწავლებელი

აცხადებს მიღებას მეცხრე-ათე კლასის სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს: 1. კულინარებს, 2. გამყიდველებს სამრეწველო და სასურსათო მაღაზიების ათვის, 3. მოლარე-კონტროლიორებს, 4. ოფიციანტებს.

სწავლების ვადა კულინარებისათვის 2 წელია, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულთათვის — 1 წელი. მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია თვეში 60 მანეთი. **მოლარე-კონტროლიორების, გამყიდველებისა და ოფიციანტებისათვის სწავლების ვადა 1 წელია.**

სასწავლებელში მიიღებიან ქ. თბილისში მუდმივად მცხოვრებნი, აგრეთვე რაიონებიდან მოვლინებულნი (საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან) გოგონები და ვაჟები 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ სრული ან არასრული საშუალო განათლება.

რვა კლასის განათლების მქონე მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ საღამოს სკოლებში.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები უზრუნველყოფილი. იქნებიან სამუშაოთი, ანაზღაურებას გამომუშავების მიხედვით მიიღებენ. მოსამზადებელ კურსებზე ჩასარიცხავად საჭიროა მსმენელმა წარმოადგინოს: განცხადება — რექტორის სახელზე, საშუალო განათლების ატესტატი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

განცხადებების მიღება 30 სექტემბრამდე, ყოველდღე 10 საათიდან 4 საათამდე, ოთახი № 119.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი — დიღომი. საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა 8-თვიან მოსამზადებელ კურსებზე.



კურსებზე მეცადინეობა იწყება 1 ოქტომბრიდან.

მეცადინეობას კვირაში სამ დღეს ჩაატარებენ ინსტიტუტის ქეთილშობილ ყოფილ აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში მაღალკვალიფიციური პედაგოგები. კურსები სამეურნეო ინგარიშზე მუშაობს. მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაოთი, ანაზღაურებას გამომუშავების მიხედვით მიიღებენ. მოსამზადებელ კურსებზე ჩასარიცხავად საჭიროა



თბილისის სპორტის სასახლე

17-დან 26 სექტემბრამდე

უკრაინის მხატვრულ-სპორტული ანსამბლის — „ბალეტი ქინულზე“

გასტროლები

საიუბილეო პროგრამა „ჩვენ თხუთმეტისანი ვართ“

რევიუ ორ განყოფილებად საესტრადო ორკესტრის თანხლებით. მხატვრული ხელმძღვანელი **ალექსანდრე ზაიცევი.**

მიიღება განცხადებები კოლექტიური დასწრებისათვის, ჯერ სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან შემოსული განცხადებები დაკმაყოფილდება.

დასაწყისი — საღამოს 8 საათზე.
შაბათობით და კვირაობით — 2 საათზე და 8 საათზე.

ცნობები ტელეფონით: 36-20-54, 36-23-04, 36-01-55.

ტელევიზია

27 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი დოკუმენტური ფილმი „თეთრი ავტომობილი“, 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი ფერადი მხატვრული ფილმი „მემკვიდრეები“ (V სერია), 17.10 — ბავშვებისათვის — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დონისა და მიკის ახალი თავგადასავალი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — „ტყავის ბურთის პრიზზე“. საზეიმო დასტვრა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, 19.40 — ცეროდენას ეკრანი, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „ჩვენი მომხილვა“, 20.40 — „მეგობრობა გზად და ხიდად“ — სომხეთის კინემატოგრაფისტები, 21.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო“ (მნ) — „ტორპედო“ (მ). II ტაიმი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ვრმია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.50 — კამერული მუსიკის კონცერტი.

მეორე პროგრამით

18.30 — დოკუმენტური ფილმი „პოლ არმანი — ეს მე ვარ“, 18.50 — განცხადებები, 18.55 — მხატვრული ფილმი „ჩანიტას კოცნა“.

28 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 06.50 — „სოფლის ფილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — საბჭოთა კინოფილმების მუსიკა, 09.15 — რეპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.00 — რადიონარკვევი „ბისა არჩევანი“, 12.12 — ი. ბახის ნაწარმოებთა კონცერტი, 13.15 — მუსუბუქი საორკესტრო პიესები, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიულეტენი, 15.00 — „მხიარულ ტალღაზე“, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. „ქართული საუნჯე“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — მიკროფონთანაა ანსამბლი „სტუდია 38-2“, 19.00 — რადიოჟურნალი „ადამიანი და კანონი“, 19.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ — ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ (1937 წლის ჩანაწერი), 20.30 — რუსული კამერული მუსიკის კონცერტი, 21.00 — „ძიელისპირული“, 21.15 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 21.30 — ახალგაზრდობისათვის „სტუდენტური ზაფხულის მისამართები“, 22.00 — „საღამო მშვიდობისა!“, 23.30 — მღერის მ. კალასი.

ოპერა „ნაბუკო“

ДАНАШАУЛИС ХВАЛДАХВАЛ • САСАМАРТЛОС ДАРБАЗИДАН

ავტოუბედურებები გაეგნენ

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). შუადამეა. საგზაო ავტოინსპექციის ხეივის საგუშაგოზე მორიგე ინსპექტორებთან ერთად შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებიც ფხიზლობენ, რეიდს ატარებენ. საგუშაგოს დაკეტილ შლაგბაუმს „ვაზ-2101“ მარკის ავტომანქანა მოადგა. მძღოლი მშვიდად ელოდებოდა შლაგბაუმის გაღებას და გზის გაგრძელებას. მაგრამ... მილიციის მუშაკებმა ნასვამობა შეინიშნეს და საბუთები მოსთხოვეს. საეჭვთან მჯდომმა მართვის უფლება წარუდგინა რეიდის მონაწილეებს, აღიარა, რომ ნასვამი ვარ და მანქანის პასპორტი შინ დამრჩაო.

რაიონის საგზაო ზედამხედველობის უფროსმა ინსპექტორმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ვ. ჭანკოტაძემ მანქანის სახელმწიფო ნომერი „30-19 გაი“ საეჭვოდ მიიჩნია და ჩხრეკა მოაწყო. ავტომანქანაში აღმოჩენილმა ორმა დიდმა დანამ ეჭვის საფუძველი მტკიცე გახადა. ჩავარდნის საშიროების წინაშე მდგარი ჯვბალ ალექსანდრეს-ძე ცეკრაძე საპასუხო შეტევაზე გადავიდა, თვითგასაშლელი დანა მოიმარჯვა და კანონის დამცველებს დაემუქრა გზიდან ჩამომეცალეთო. ხელჩართული ბრძოლისათვის შემართული მოიმდური სწრაფად გააკავეს მილიციის ლეიტენანტმა ც. ფოფხაძემ და საგზაო ინსპექციის მუშაკმა ნ. ოქრომჭედლიძემ.

დადგინდა, რომ მანქანის ნამდვილი ნომერი „80-49 გაი“ დაპატიმრებულმა, უსაქმურმა ჯ. ცეკრაძემ გადაკეთა თვალისასახვევად. ისიც გამოირკვა, რომ მანქანა ცხინვალის რაიონის სოფელ ანაბეთში მცხოვრებ ი. ა. გოგიძეს ეკუთვნის, რომელსაც მანქანის წართმევის დროს ხელფეხი შეუბოჭეს, თვალები და პირი აუხვიეს. დამნაშავეებმა დაასახელეს ადგილი, სადაც მანქანის პატრონი უმწეო მდგომარეობაში მიგატოვეს.

ავტომანქანის ყაჩაღური წართმევის დროს უსახელო ოპერაციაში ოთხი ახალგაზრდა მონაწილეობდა. მათგან ჯ. ცეკრაძისათვის მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ნაცნობი — გორის რაიონის სოფელ ფხვენისში მცხოვრები, რამდენჯერმე ნასამართლევი იური ობნაძე. დანარჩენი ორი თანამონაწილის გვარსაც ალბათ მოგონებენ გორელ ავტოყაჩაღებს.

ო. ნიჟაბაძე.

როგორ გამოექიდა ტრაქტორი „ქიგულს“

თეთრიწყაროს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორმა ვ. კობაიძემ, რომელიც თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, გზად მიმავალ ტრაქტორს „კ-700“-ს გაუსწორო, მერე თავისი „ჟიგული“ გააჩერა, და მძღოლ ს. მელტოიანს ანიშნა გაჩერდიო. მაგრამ ს. მელტოიანმა გზა განაგრძო. კობაიძემ ისევ გაუსწორო ტრაქტორს და ისევ გაჩერდა. მელტოიანმა ავტომანქანას შემოუარა, ცოტა ხნით ტრაქტორი შეაჩერა, მერე კი უკან სვლით წაიყვანა პირდაპირ „ჟიგულის“ დასაჯახებლად. ეს საფრთხე რომ შენიშნა, მსუბუქი ავტომანქანის შოფერმა უკანა სვლა ჩართო, და გზიდან მინდორში გადაუხვია, მაგრამ ტრაქტორი არ შეშვებოდა, და იქამდე სდევ, სანამ გზის პირში არ გაეჩხირა.

მელტოიანი მანქანიდან ჩამოვიდა და დანაამოღებული გიამარა ინსპექტორ კობაიძისაკენ, მაგრამ ინსპექტორმა ხერხი იხმარა და მელტოიანს ხელი ააღებინა ავი განზრახვის შესრულებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დ. კალაევის თავმჯდომარეობით მელტოიანი დამნაშავედ ცნო, ვინაიდან მან საფრთხე შეუქმნა მილიციის მუშაკის სიცოცხლეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამასთან, სასამართლო კოლეგიამ გაითვალისწინა, რომ ეს მელტოიანის პირველი ნასამართლობაა, აგრეთვე მისი დადებითი დახასიათება, ბრალის სხვი შემამსუბუქებელი გარემოებები, და შესაძლოდ მიიჩნია მსჯავრდება პირობითად შეეცვალა ხუთი წლის გამოსაცდელი ვადით.

(საქინფორმი).

ქომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28 54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 86443 უე 02456

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ჩვენი მისამართი და ტელეფონები